რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 29 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 72 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 72

ალექსანდრა ილიას ასული მაჩაბლისა შვილებით აუწყებს ყველას, რომ ხუთშაბათს 29 მარტს დაკრძალავენ წმ. ნინოს ეკლესიის გალავანში ვერაგულად მოკლულ

**გიორგი ზაალის ძე მაჩაბელს**

გამოსვენება სადგურიდან შუადღის 12 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში.

---

რ. ს. დ მ პ. საოლქო და თფილისის კომიტეტები მწუხარებით აწყებენ ამხანაგებს, რომ ცხინვალში შეტაკების დროს დაიღუპა ამხანაგი

**გიორგი მაჩაბელი**

დაკრძალვა მოხდება დღეს 29 მარტს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

---

გორის ქალთა ინტერნაციონალური წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ თავის საზოგადოების საუკეთესო წევრი ამხ.

**გიორგი მაჩაბელი**

ვერაგულათ იქმნა მოკლული ცხინვალის რაიონში მომხდარ შეტაკების დროს. დაკრძალვა მოხდება ქ. თფილისში 29 მარტს, ხუთშაბათს.

---

რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ცხინვალში გმირულად დაღუპული, ამხანაგი წითელ გვარდიელის

**სამუელ ბაქანიძის**

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 29 მარტს. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ერთობის უბანი, სამოვოლნი ქუჩა) ნაშუადღევის 2 ნახ. ს. დაასაფლავებენ ძმათა სასაფ. (ნაძალადევი ხუდადოვის სახელობის ბაღში).

---

ერთობის უბნის წითელ გვარდიელთა შტაბი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგ წითელ გვარდიელთ ერთობის უბნისას, რომ ცხინვალში ბრძოლის დროს გმირულად მოკლულ იქნა 23 მარტს ერთობის უბნის წითელი გვარდიის ასისთავი

**სამუელ (ლადო) ბაქანიძე.**

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 29 მარტს. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ერთობის უბანი, სამოვოლნი ქუჩა) ნაშუადღევის 2 ნახ. ს. დაასაფლავებენ ძმათა სასაფ. (ნაძალადევი, ხუდადოვის სახელობის ბაღში).

---

ერთობის უბნის კომიტეტი ულრმესი მწუხარებით აუწყებს ერთობის უბნის ამხანაგებსა და ნაცნობებს, რომ ცხინვალში ბრძოლის დროს გმირულათ დაიღუპა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი, ერთგული მომუშავე და წითელ გვარდიელთა ასის თავი

**სამუელ (ლადო) ბაქანიძე.**

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 29 მარტს. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ერთობის უბანი, სამოვოლნი ქუჩა) ნაშუადღევის 2 ნახ. ს. დაასაფლავებენ ძმათა სასაფ. (ნაძალადევი, ხუდადოვის სახელობის ბაღში).

---

თფილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფეს. კავშირის გამგეობა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთა და ნაცნობთ, რომ 23 მარტს ცხინვალში აჯანყებულებთან ბრძოლის დროს გმირულათ დაიღუპა ბეჭდვითი საქმის პროფ. კავშირის წევრი და წითელ გვარდიელთა ასის თავი ამხ.

**სამუელ (ლადო) ბაქანიძე.**

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 29 მარტს. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ერთობის უბანი, სამოვოლნი ქუჩა) ნაშუადღევის 2 ნახ ს. დაასაფლავებენ ძმათა სასაფ. (ნაძალადევი, ხუდადოვის სახელობის ბაღში).

---

გაზეთ „ერთობის“ და „საქართველოს“ ასოთ-ამწყობნი და ვ. რუხაძის სტამბის მუშები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთა და ნაცნობთ, რომ 23 მარტს ცხინვალში აჯანყებულთან ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა ასოთ ამწყობი, წითელ გვარდიელთა ასის თავი ამხ.

**სამუელ (ლადო) ბაქანიძე.**

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 29 მარტს. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ერთობის უბანი, სამოვოლნი ქუჩა) ნაშუადღევის 2 ნახ. ს. დაასაფლავებენ ძმათა სასაფ. (ნაძალადევი, ხუდადოვის სახელობის ბაღში).

---

დამწუხრებული დედა ეფიზო სიხარულიძის ასული ასაშვილისა; მეორე მამიდან ძმები: ალიოშა და კოლია ასაშვილები; განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ბიძები: ექვთიმე და ბაგრატ ივანეს ძენი დოლიძეები ულრმეს მადლობას უძღვნიან ბათუმში მთელი ბარცხანის და ქალაქის მცხოვრებლებს, აგრეთვე წითელი გვარდიის შტაბს და მესამე როტის ჯარისკაცებს, რომლებმაც ტრაღიკულად გარდაცვალებულ სრული კავალერიის

**გიორგი ნიკოს ძე დოლიძის**

ბათუმში დაკრძალვაზე თავის დასწრებით და პატივისცეს მის ხსოვნას (2—1)

---

ღრმათ დამწუხრებული დედა ნამეტი, ძმები: ისიდორე, ტიტიკო, ილია, მოსე, დათიკო და კარლო, დები: ალისა, ანეტა და თამარა, რძლები: მარო, პაშა და ფუცუ თალაკვაძენი, სიძე დათიკო შარაშიძე, ბიძა სიმონ ჯაყელი, ბიძაშვილები: მარიკო, მადლენა, მარსელი, შალვა და კატუშა ჯაყელი აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა თფილისის კომერციული სასწავლებლის მოწაფე

**მიშა სილევანის ძე თალაკვაძე**

პანაშვიდი პარასკევამდე მიხეილის საავათმყოფო სამლოცველოში სად. 5 ს. პარასკევს ბინაზე ზახარიევის ქ. № 5. მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს 31 მარტს დილის 10 ს. და აფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

## როგორ მოვიქცეთ?

ოსმალეთი ბალშევიკების მიერ გაცემულ თამასუქების განაღდებას მოითხოვს. მან ულტიმატუმი წარმოგვიდგინა ბათუმის და ყარსის დაცლის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის ღვრით იმუქრება.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პასუხი? ამიერ-კავკასიის სეიმმა უკვე გადასწყვიტა დაუთმოს ოსმალეთს ის, რისი დათმობაც კი შეიძლება. სეიმს ნათლათ აქვს წარმოდგენილი ის საშინელება, რომელიც ამიერ-კავკასიას დაატყდება თავს ომის და სისხლის ღვრის გამო. ამიტომ ის უსარგებლო ომს და შეტაკებას ერიდება.

მაგრამ დათმობასაც საზღვარი აქვს. ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ გადასწყვიტა საკუთარ ფეხზე დადგომა, ის უკვე შეუდგა ახალი ცხოვრების მოწყობას. ამიტომ ის გულგრილათ ვერ შეხვდება ისეთს ნაბიჯს, რომელიც მას საშუალებას მოუსპობს ამ ახალი ცხოვრების მოწყობის საქმეში.

ბათუმი და ყარსი ის სიმაგრეებია, რომლის შემწეობით ჩვენ ამიერ-კავკასიის მთლიანობა უნდა დავიცვათ. ბათუმის და ყარსის ოსმალეთის ხელში გადასვლა კარს გაუღებს მტერს და ის თავისუფლათ ითარეშებს ჩვენს მხარეში. დღეს გურიამ უკვე საკუთარ ზურგზე გამოსცადა, თუ რას ნიშნავს ველური და მუხთალი მეზობლის ყოლა. მთელი გურია ერთს სამხედრო ბანაკს წარმოადგენს: დღე-დღეზე ელიან აჭარლების შემოსევას და მათგან სახლკარის აოხრებას, ოჯახის აწიოკებას. თუ ასე გვექცევა აჭარა, რომელსაც გაჭირვების დროს არა ერთხელ გავუწოდეთ ძმური ხელი, თუ ასე გვექცევა ის ხალხი, რომლისთვისაც არაფერი დაგვიზოგავს, რას უნდა მოველოდეთ საზოგადოთ ოსმალოს ურდოებისაგან. ერთი სიტყვით, ბათუმი და ყარსი უნდა დავიცვათ მანამდი, სანამ თავის დაცვაზე ხელი არ აგვიღია.

მაგრამ ჩვენ ხშირათ გვესმის გულგატეხილთა წუწუნი და გოდება. გვეუბნებიან: ხალხი დაიქანცა, ჯარისკაცების ნაწილი გახულიგანდა, რამდენიმე ალაგას შინაური ფრონტი გაგვიჩნდა და ძალა გამოგველიაო. მაგალითისთვის მოჰყავთ სადახლო და თელავი, ახალციხე და ცხინვალი.

საუბედუროთ, ყველაფერი ეს მართალია. განსაკუთრებით საბედისწეროა ის, რომ ჩვენს ნორჩს თავისუფლებას აუარებელი მტერი გაუჩნდა შიგნით, სამწუხაროა, რომ ჩვენ თითონ დემოკრატიის ერთი ნაწილი გვებრძვის. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან?

პესიმისტები ამბობენ: რადგან სუსტნი ვართ, სჯობია მტერს დავუთმოთ, ბრძოლაზე ხელი ავიღოთ და მტერიც უფრო ლმობიერათ მოგვექცევა, ფიზიკურ არსებობას მაინც შევირჩენთო.

მართალია ეს?

ჯერ ერთი ჩვენს პესიმისტებს ერთობ გადამეტებულად აქვთ წარმოდგენილი ჩვენი სისუსტე. ჩვენ კიდევ დიდი ძალა გვაქვს, მხოლოდ საჭიროა ამ ძალის მოკრება. გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეს, ოსმალეთს, თითონ არ გააჩნია არავითარი ძალა და მხოლოდ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ჯგუფებზე აშენებს თავის გეგმას. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ საერთო სამოქმედო გზა გამოვნახოთ ამიერ-კავკასიის ყველა ერებთან და ჯგუფებთან და ამ გზით გავაძლიეროთ ჩვენი რაზმები. ეს მოგვცემს ჩვენ ძალას და შეძლებას გარეშე მტერს გავუმკლავდეთ და ჩვენი მიწა წყალი დავიცვათ. ეს მოგვანიჭებს ჩვენ გამარჯვებას.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ბრძოლაში დავმარცხდით. რა შედეგები მჰყვება ამას? სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, ვითომ ოსმალეთი უფრო ლმობიერათ მოგვექცევა იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ უბრძოლველათ დავუთმობთ ჩვენს პოზიებს და ნებით გავუღებთ ჩვენი ქვეყნის კარებს. ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ უბრძოლველათ შემოსულს მტერს მეტი შეღავათი მიეცეს ამ გზით დამონებული ერისათვის. პირიქით, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უფრო მკაცრი და შეუბრალებელი ყოფილა შემოსული მტრის რეჟიმი.

ამიტომ მოვუწოდებთ ყველას ქვეყნის თავდაცვას შესწიროს ყველაფერი. ოსმალეთის უღელი სიკვდილს გვიქადის და ლაჩრულ სიკვდილს ისევ სახელოვანი სიკვდილი სჯობია.

## ომის გარშემო

როცა ოსმალეთის ფაშები შემოსევას აპირებენ ჩვენ საზღვრებში, გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ ახლა გაუჩნდა საწყრათ ჩრდილოეთის საფრთხე. რუსეთი და ერეკლეს პოლიტიკა—აი დასაგმობი რა ყოფილა. განსაკუთრებით უნდა ვეკვეთოთ ბალშევიკებს.

ჩვენ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ბალშევიკები ვერასოდეს ვერ შესძლებენ ხალხის ნამდვილი საჭიროებანი გაიგონ და თავის ფრაქციულ ქონიანობას თუნდა ახლაც შეუშვან ხელი, როცა ამიერ-კავკასიას ასეთი საშინელი მტერი მოადგა.

ჩვენ არ გვაქვს იმედი ბალშევიკების მიერ რაიმე სახელმწიფოებრივი ნიჭის გამოჩენის, საზღვრების დაცვის და სხ. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ იგინი ადვილათ წამოეგებიან მყვირალა ფრაზების და მუხანათურ მოქმედების ანკესზე. ბაქოს საბჭოები ამის უტყუარი თავდებია.

მაგრამ განა ახლა ამაზეა ლაპარაკი? განა ახლა ბალშევიზმი უქადის დამხობას ჩვენს ქვეყანას?

თუმცა მათი საფრთხე არც სავსებით აცილებულია თავიდან, მარა რეალური მნიშვნელობა ამ ჟამათ მას არა აქვს. ამ ხანათ უმთავრესი ოსმალეთის ლაშქარია და ის აჯანყებულები, რომელნიც ოსმალეთის ჯარს მოუძღვება ჩვენი დემოკრატიის შესამუსრავათ.

ბ. თუმანოვი კი „ვოზროჟდენიე“-ში ასეთ დროს რუსის სიგრძე წერილებს აცხობს ბალშევიკების საფრთხეზე და მას მყვირალა სათაურს აძლევს.

ოსმალეთის შემოსევაზე კი კრინტსაც არა სძრავს. თითქოს ოსმალეთის მხარედან მისი მეგობრები და კეთილის მყოფელნი მოდიოდენ ცეცხლითა და მახვილით.

განსაკუთრებით აწუხებს ამ პატიოსან გვამს ის გარემოება, რომ ადგილობრივ სოციალდემოკრატიას სავსებით იმედი არ დაუწმენდია რუსეთის დემოკრატიაზე და მათგანაც კი მოელის გამოხმაურებას.

აბა ასეთი „საშინელი აზრი“ როგორ შეიძლება. დემოკრატიის იმედი გქონდეს და ისიც რუსეთის დემოკრატიის? ეს დიდი ულოღიკობა და პოლიტიკური შეცდომაა თურმე. აი ბ. თუმანოვს აქვს ლოღიკური და შეუცდომელი პოლიტიკა.

ესაა ერეკლე მეორის პოლიტიკის უარყოფა და თავის სიმპატიების სამხრეთელ სახელმწიფოებისაგან მიმართვა.

ჩვენ ბ. თუმანოვის აზრს არ გამოვუდგებით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სამწუხაროთ და სავალალოთ ზოგიერთი ჯგუფები ქართველი ხალხისა, დემოკრატიის ძლიერების მტერნი და მოძულენი, სწორეთ ოსმალეთისკენ იცქირებიან და თავის ბედნიერების აგებას ამათ გაბატონებისგან ელიან. საქართველოს ეროვნულ საბჭოს უკანასკნელ კრებაზე ამ კითხვამ არა ერთი და ორი მწარე სიტყვები გამოიწვია. მაგრამ ქართველი ხალხის, ან უკეთ მასის პოლიტიკური პარტიების სახელით უნდა ვთქვათ, რომ ბოლოს და ბოლოს ერთსულოვნობა მიღწეულ იქნა თავდაცვის საკითხში და ყველა პარტიამ აღიარა, რომ ყოველი მოღალატე და მუხანათი უნდა სამარცხვინო ბოძზე იქნეს გაკრული. ამ დადგენილებას ის მთავარი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ალაგმავს ზოგიერთ თავზე ხელაღებულ მოღალატეებს, რომელნიც მზათ არიან ქვეყნის უბედურებაზე აგონ თავის პირადი ბედნიერება... ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ჯგუფები და წრეები ამა თუ იმ პარტიის სახელით ეწეოდენ გამათახსირებელ აგიტაციას და ამით ხელს უშლიდენ ხალხს თავდაცვისთვის მომზადების დროს.

ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ მათი გველური სისინი მათ უნდა ჩაშხამდესთ. გამოფხიზლებული ხალხი, რომელიც ოთხი წლის საშინელ ომის შემდეგაც ისევ იღებს ხელში იარაღს, რომ თავის კარმიდამო დაიცვას, ყველა ასეთ მოღალატეს და ხელის შემშლელს სასტიკ სასჯელს მიუსჯის. და იგინი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩებიან.

დღეს ყველა უნდა იბრძოდეს, ვისაც მკლავი უჭრის. შეურაცხყოფას, ძველ დავას, ურთიერთ ბრძოლას, პოლიტიკურ ანგარიშების გასწორებას დღეს უნდა ბოლო მოეღოს. დღეს შეიძლება მხოლოდ შეჯიბრება ქვეყნის დაცვაში, დღეს შეიძლება თავის პარტიული სიმწიფის და გამოსადეგობის დამტკიცება მხოლოდ თავდადებული მუშაობით ქვეყნის გადასარჩენათ ოსმალთა შემოსევისაგან.

ვინც უკეთ იცავს ერს და დემოკრატიას, მის არსებობას, დღეს ის არის საუკეთესო პარტიის წევრი და ყველაზე მოსაწონი ამხანაგი და კეთილის-მყოფელი.

ჩვენი პარტია უკვე ბრძოლის ველზე სდგას. ჩვენი მთელი ზნეობრივი და ფიზიკური ძალები ამ მხრივ არის მიმართული.

და ჩვენ ველით ყველასაგან გვერდში ამოდგომას, მხარის დაჭერას. დღეს განკითხვის დღეა ჩვენი ქვეყნისათვის. და ვინც დღეს ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა. ვინც გვერდში არ გვიდგას და განზე იცქირება, ის უკვე ლაჩარია, ან მოღალატეა. ორჭოფობა, რყევა დღეს მომაკვდინებელი ცოდვაა. მხოლოდ წინ, მხოლოდ ბრძოლის ველისკენ! ასეთია სადღეისო მოთხოვნილება.

## გადამჭრელი მომენტი

ოსმალეთის ურდოებმა ხელში ჩაიგდეს კიდევ ერთი გამაგრებული პუნქტი არდაგანი. ამნაირათ ოსმალეთის ჯარი მთელი ძალ-ღონით, ყოველივე საშუალებით მთელ ფრონტზე შემოტევას აწარმოებს და წინ მოიწევს, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და სოფლებს. ამავე დროს ტრაპიზონში სწარმოებს სამშვიდობო მოლაპარაკება, რომლის ინიციატივა თვით ოსმალეთს ეკუთვნის. ოტომანის დელეგაცია აცხადებს, რომ ოსმალეთი მზათაა შექმნას კეთილმეზობლური განწყობილება ამიერ-კავკასიასთან, ჩამოაგდოს საპატიო ზავიო, ხოლო ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს კი იერიში იერიშზე მოაქვს და ცდილობს ჩვენი საზღვრების გადმოლახვას.

ოტომანის მთავრობამ დიპლომატიის ენასთან ერთად აამოძრავა ენა ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველებისა. ცხადია, იგი ცდილობს დაგვაყენოს ჩვენ ფაქტის წინაშე, ხელში ჩაიგდოს ის ადგილები, რომელიც მას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით უბოძეს.

ჩვენ ვიცნობთ იმპერიალისტების სულის კვეთებას. ჩვენ ვიცით ოსმალეთის იმპერიალისტების მოთხოვნილებებიც. ისინი არავითარ საშვალებას არ დაერიდებიან, ყოველივე ძალღონით შეეცდებიან თავის აგრესიულ მიზნის განხორციელებას. ოსმალეთს ალბათ წარმოდგენილი აქვს, ამიერ-კავკასია ისეა დაუძლურებული, იმ ზომაზეა ანარქიით დაფლეთილი მისი სხეული, რომ იგი ვერ შესძლებს თავდაცვას, ფაშების მოგერიებას. და ამიტომ იყო ულტიმატიური მოთხოვნილება წამოგვიყენეს—48 საათის განმავლობაში გვიპასუხეთ დასცლით ბათუმს თუ არაო.

მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერია ამიერ-კავკასიის დემოკრატია, ჯერ კიდევ დიდი აქვს თავის დასაცავათ საჭირო უნარი, რომ მას მიეღო ოსმალეთის ფაშების ეს ვერაგული მოთხოვნილება. და თუ ოსმალეთმა ხელი არ აიღო იმპერიალისტურ მოთხოვნილებაზე, თუ მან კვლავ წარმოიდგინა ამ.-კავ. დაბალ ღობეთ და მისი გადალახვა, გადაქელვა მოინდომა ასეთ შემთხვევაში ჩვენ იძულებით ახალ ომის წინაშე დავდგებით. ამიერ-კავკასიის ნორჩი რესპუბლიკა იძულებული იქნება ომში ჩაებას, მტერს ეკვეთოს, რომ დაუმტკიცოს მას, რომ იგი არ არის დაბალი ღობე, რომლის ასე ადვილათ გადალაჯება შეიძლებოდეს. ამას შესძლებს ამიერ-კავკასიის დემოკრატია. იგი არა ერთხელ ყოფილა ჩაბმული თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ არასოდეს ბრძოლის წითელი დროშა დაბლა არ დაუშვია, მონობისათვის ქედი არ მოუხრია. და დღეს, როცა მან ეს დროშა სამშვიდობოზე გამოიტანა, როცა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად მიწაზე დაანარცხა „ევროპის ჟანდარმი“, ეს უსაშინელესი მტერი ყოველგვარ თავისუფლებისა, გამარჯვებით გამხნევებული, ბრძოლაში გამობრძმედილი და გასალკლდევებული იგი დაანახვებს „ავათმყოფ ადამიანს“ თუ რა შეუძლია სულით ძლიერ ჯანმთელ დემოკრატიას, როცა იგი იცავს რევოლიუციასა და თავისუფლებას...

ისტორიამ იცის მაგალითები, თუ რა დევ-გმირათ აქცევს ხალხს გარეშე საფრთხე, რომელიც ემუქრება მას თავისუფლების შებღალვით და ფიზიკური განადგურებით. მოვიგონოთ თუნდ საფრანგეთის ისტორია, როცა საფრანგეთის ხალხი, როგორც ერთი კაცი აღზდგა თავის დასაცავათ და შესძლო გაცილებით უფრო ძლიერ გარეშე მტრის მოგერიება.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიაშიც ვხედავთ ასეთ თავგანწირვის ნიშნებს. ვის ეგონა თუ ოთხი წლის ომიანობით მოქანცული ხალხი ისე თავგანწირვით და აღფრთოვანებით წავიდოდა ისევ ფრონტზე საბრძოლველათ? მაგრამ სჩანს ძლიერია რევოლიუციისა და თავისუფლების დაცვის გრძნობა, რომ დემოკრატია ასე დაჩქარებით კრავს რაზმებს და მიეშურება საზღვრებისაკენ, რომლის გადმოლახვას მტერი ცდილობს.

გადამჭრელი მომენტია. დღეს უნდა გადაიჭრას საკითხი: იარსებებს თავისუფალი მთლიანი ამიერ კავკასია, თუ მან ისევ მონობის უღლის ქვეშ უნდა ამოყოს თავი. უკან დასახევი გზა შეკრულია. ჩვენი სურვილების გარეშე შექმნილი პირობები ასეთ ალტერნატივას გვიყენებს წინ: ან მონობა, ან თავისუფლება. ამიერ-კავკასიის დემოკრატია მონობას ვერ შეურიგდება, ეს დიდი ხნით ცნობილი ჭეშმარიტებაა. თავისუფლების დასაცავათ კი საჭიროა მტკიცე ძალა, რომ შესაძლებელი გახდეს ოსმალეთის იმპერიალისტების ალაგმვა. ამიერ-კავკასიის დემოკრატია არ ასცდება ამ გზას, იგი ყოველ საშუალებას იხმარს, რათა შექმნას ასეთი ძალა და ნებას არ მისცემს ოსმალეთის ფაშებს თავის ჭუჭყიანი ხელი შეახონ თავისუფლების დროშას, რომელიც ასე მაღლა ფრიალებს ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერთა მშრომელ კლასების საკეთილდღეოთ.

ვ. ნიკურაძე.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა)

27 მარტი.

შავი ზღვის პირად ჭოროხის და ჩაქვის რაიონებში სროლაა.

ჩვენმა საციხოვნო არტილერიამ ყუმბარები ესროლა ორპოზონის, სირთის მთებს და ხელვაჩაურის ხეობას.

ერგეს მე-412 სიმაღლესთან ჩეტნიკებმა იერიში მოიტანეს, რაიც ჩვენმა ყუმბარებმა მოიგერიეს.

ერთ ერთმა ჩვენმა სამხედრო გემმა ყუმბარები ესროლა ჭოროხის მარცხენა ნაპირად მტრის მიერ გამაგრებულ მაღლობს.

სარაყამიშის მიმართულებით 25 მარტს ჩვენი ჯარები, რომლებიც დასახმარებლათ იყვენ გაგზავნილი, იერიშებით მივიდენ ოსმალებზე, მათი წინსვლა შეაჩერეს და იერიშით დაიბრუნეს ახალი სელიმი.

ერთი ჩვენი ქვეითი პოლკი მდ. კეკიაჩში გავიდა და ცხენოსანი პოლკის დახმარებით დაიკავა მე-886,1 სიმაღლე. ჩვენი საარტილერიო სროლისა და იერიშების შემდეგ მტერმა დასტოვა მე-883,8 სიმაღლე და დაიხია ახალ-სელიმის დასავლეთით. მტრის იმ ჯარებმაც დაიხიეს, რომლებიც ახალ-სელიმზე მოდიოდენ. საღამო ხანს ბრძოლა შესწყდა. ჩვენი ზარალი ცოტაა.

26 მარტს, ახალ-სელიმიდან ბეზირგან-კეგოტში გაგზავნილ რაზმს სროლა აუტეხეს ოსმალებმა. აქ ოსმალები ჩვენმა რაზმმა გარეკა. მტერმა დასავლეთისკენ დაიხია. ჩვენი მოწინავე რაზმი სოფ. ბერკიდან იერიშით მივიდა მტერზე და დაიკავა ამ სოფ. სამხრეთით მდებარე სოფ. კარაკილისი. მტერმა ტიხნისკენ დაიხია.

ერგეს მთა, რომელიც ბათუმის პოზიციებში ყველაზე მაღალია, გარნიზონმა დასტოვა. ჩვენი ცდა, რომ დაგვებრუნებინა ეს მთა ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა, ვინაიდან მტერმა მოასწრო მისი გამაგრება. ჩაქვის რაიონში, სოფ. ხალასთან მოვიგერიეთ აჭარლების იერიში. 26 მარტს, ღამით ბოროტ-მოქმედებმა „ზელიონი მისთან“ რკინის გზის ლიანდაგი აჰყარეს, რაიც დროზე შენიშნა გზის დარაჯმა.

გენ. შატილოვი შემდეგს აცხადებს:

„ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული იმის შესახებ, თითქოს ჩვენი ჯარის ნაწილები სარიყამიშის მიმართულებით უკან იხევდეს უბრძოლველათ.

ჩვენ მონდობილი გვაქვს ფრონტის შტაბისაგან განვაცხადოთ, რომ ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს. შტაბში მოსული სწორი მოხსენების თანახმათ სარაყამიშის მიმართულებით ჯარის ნაწილების დახევა გამოწვეულია მტრის საგრძნობი ძალის შემოტევით. პოზიციებს ჩვენი ჯარი სტოვებდა უფროსების ბრძანების თანახმად.

## ბაქოს ამბები

ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარე ჩხეიძეს ბაქოდან სოციალდემოკრატიულ პარტიის მენშევიკთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. აიოლო დეპეშით შემდეგს ატყობინებს:

„ბაქოს ს.-დემოკრატ—მენშევიკთა ორგანიზაცია მიუხედავათ მისი დამოკიდებულებისა ხელმძღვანელ უმრავლესობის ტაქტიკასთან, თავის მოვალეობათ სთვლის აქტიურათ მხარი დაუჭიროს საბჭოს კონტრ-რევოლიუციონერებთან ბრძოლაში. დაღესტნელების შეტაკებას ჩვენ ვსთვლით კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლათ და ვსთხოვთ სეიმს დაეხმაროს ბაქოს საბჭოს დაღესტნელების წინააღმდეგ. მათი შემოსევა ბაქოს სხვადასხვა ეროვნებათა ხალხს დაღუპავს უქადის“.

ცნობილი მილიონერი ტაგიევი შემდეგს იტყობინება: „ბაქოში სიწყნარე ჩამოვარდა. მე ჩემს მოქალაქობრივ მოვალეობათ ვსთვლი საჩქაროდ განვაცხადო, რომ ბაქოს ამბებს ეროვნული ხასიათი არ ქონია, არც სომეხ-თათართა შეტაკება მომხდარა. ბრძოლის დროს თათრები არ არბევდენ მათ უბნებში მცხოვრებ სომხებს, აგრეთვე სომხები, რომელთაც 14 ათასი თათარი გადაარჩინეს სიკვდილს და თავისთან შეიფარეს. გთხოვთ ყოველივე ზომები მიიღოთ ხელი შეუწყოთ მშვიდობიანობის ჩამოგდებას“.

რადიო დეპეშით ტერ-გაზარიანი იტყობინება: 21 მარტიდან ბაქოში სიწყნარე ჩამოვარდა. გუშინ ცნობა მივიღეთ, რომ სად. ხურდალასთან მოვიდა დაღესტნის ცხენოსანი ჯარი. დღეს დაიწყეს ბრძოლა ბალაჯარის მხრით. ცნობაა, რომ ბაქოზე თფილისიდან ჯარის ნაწილები მოდიანო, მოდიან აგრეთვე შეიარაღებული თათრები განჯიდან და სხვა ადგილებიდან. მდგომარეობა ისევ შეიცვალა ბაქოში და მშვიდობიანობა ირღვევა. ყველა სოციალისტური და დემოკრატიული პარტიები შეერთდენ ბაქოს საბჭოსთან თავის დასაცავათ. ბაქოზე წამოსულთა წინააღმდეგ საბჭომ მთელი ძალა დააყენა. საჭირო სამხედრო ძალა და საომარი მასალები საკმაოა დასახვედრათ. შესაძლებელია საქმე მორიგებით გათავდეს. ამისათვის საჭიროა დაუყონებლივ შეაჩეროთ თფილისიდან ჯარების ნაწილების გზავნა და ჯავშნიან მატარებლის მოძრაობა ბაქოს წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ამიერ-კავკასია დაიღუპება. მოხსენების გასაკეთებლათ ვაპირებთ საჩქაროთ წამოვიდეთ. მოახდინეთ განკარგულება დაუბრკოლებლივ მოვიდეთ თფილისში. ვაფრთხილებთ, რომ მუსულმანები არ უნდა გაიტაცოს საბჭოს ბაქოს ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციების დაუძლურების სურვილმა. უკანასკნელი უთუოთ გაუმკლავდებიან ბაქოზე მოსულ მტერს. შეგვატყობინეთ თქვენი მთავრობის აზრი. მდგომარეობა ისეთია, რომ მთელი სეიმის წამოსვლა რომ საჭირო დარჩეს, ესეც უნდა მოხდეს, რომ ეს საშინელი ცეცხლი ჩავაქროთ, გთხოვთ გვიპასუხოთ.

27 მარტს, საღამოს 5 საათზე სადგურის სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის კომისარმა პირდაპირი მავთულით შემდეგი აცნობა ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს:

„ბაქოში მოხდა შეიარაღებული გამოსვლა გარეული დივიზიის, ხონგინის ბრბოისა და სხვა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებისა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. საბჭოს შეიარაღებულ ძალებისა და აქ მყოფ სამხედრო ნაწილების შეერთებული მოქმედებით კონტრრევოლიუციონერები დაამარცხეს. მოძრაობა სამოქალაქო ომის ჩარჩოებს არ გაშორებია. მუშათა უბნებში მშვიდობიანობა არ დარღვეულა. ახლა ქალაქში სიწყნარეა. მუსულმანთა მცხოვრებნი ზედა ნაწილის გამოკლებით თავს იყრიან საბჭოსა და საგანგებოთ შექმნილ მუსულმანთა სოციალისტურ პარტიების ბიუროს გარშემო. მახლობელ სოფლებში სიწყნარეა. მშვიდობიანობას ემუქრება მხოლოდ დაღესტანის პოლკი, რომელიც გამაგრებულია კურდანალში და რომელმაც მთელი მუსულმანთა მცხოვრებლების სურვილის წინააღმდეგ უარი განაცხადა უკან დაბრუნებაზე და დღეს დაიწყო სამხედრო მოქმედება. როგორც ჩვენ გვეუბნებიან თითქოს სეიმს სურს მხარი დაუჭიროს საბჭოს მტრებს. ბაქოს მუშათა სახელით განურჩევლად ეროვნებისა და პარტიისა გაფრთხილებთ არ ჩაიდინოთ ასეთ დანაშაული“.

## ახალი ამბები

**წითელ გვარდიელის გამოსვენება.** მეორე რაიონის კოლექტივი აუწყებს ამხანაგებს, რომ დღეს, 2 ნახ. საათზე ერთობის უბნიდან (ნადიროვკა) გამოასვენებენ წითელ გვარდიელს ამხ. სამუელ (იგივე ლადო) ბაქანიძეს, რომელიც მოკლულ იქნა დ. ცხინვალში. ცხედრის გამოსვენება მოხდება ავჭალის ქუჩით. დაასაფლავებენ ძმათა სასაფლაოზე (ნაძალადევი, ხუდადოვის სახელობის ბაღში).

◆ **აბრეშუმის თესლი (გრენა).** თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა შეიძინა საფრანგეთის ცნობილი ფირმებისაგან აბრეშუმის თესლი ყვითელი და ბაღდადის ჯიშისა. ეს თესლი გასინჯულია კავკასიის საბრეშუმო სადგურში, სადაც შეიძლება ბითუმად მისი შესყიდვა. ამიტომ მცხოვრებლებმა არ უნდა შეიძინონ გაუსინჯავი აბრეშუმის თესლი ადგილობრივ ვაჭრებისაგან. კავკასიის საბრეშუმო სადგურში გასინჯულ თესლის კოლოფს შემოკრული აქვს თეთრი ბანდეროლი.

◆ **მოწყალების დათა და ფერშალ ქალების კრება.** დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია კრება გამოცდილ და უკვე ნამსახურ ქართველ დების და ფერშალი ქალებისა, რომლებიც არიან ჩაწერილნი ქართველ ქალთა სანიტარულ რაზმებში იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, ვინ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს მომავალ მუშაობაში. კრების ადგილია: ანასტასიას ქუჩა, ქალთა უმაღლესი კურსები.

◆ **კურსები.** კვირას, პირველ აპრილს, დილ. 10 საათზე, პროფესიონალურ კავშირთან გაიხსნება აფთიაქის მოწაფეთათვის კურსები აფთიაქის თანაშემწეების ეგზამენებისთვის მოსამზადებლათ. მსურველები ეწერებიან ყოველ დღე 5—8 საათამდე პროფესიონალურ კავშირის სადგომში.

◆ **60 ათასი მანეთის გაფლანგვა.** გზის ინჟ. ივ. დადიანმა განუცხადა მილიციის უფროსს, რომ მან 18 თებერვალს 60 ათასი მანეთი გადასცა ტეხნიკ ანტონ კაზმირჩაგს, ინჟენერ ველექსკისათვის გადასაცემათ. როგორც გამოირკვა, კაზმირჩაგს ფული მიუთვისებია და სადაც გაპარულა.

◆ **მატარებლის დამსხვრევა.** 27 მარტს სადგ. ზაგალთან მატარებელი № 634 ლტოლვილებით სავსე დაიმსხვრა. ბევრია მკვდარი და დასახიჩრებული.

◆ **კახეთის რკინის გზაზე მუშებმა** 27 მარტს გაფიცვა გამოაცხადეს. ამავე დღეს გაიმართა ყველა მუშების, ხელოსნების და მოსამსახურეთა კრება, სადაც მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია განვიხილეთ რა ახლანდელი მდგომარეობა და ვიღებთ რა მხედველობაში, თუ რა შედეგები მოჰყვება ჩვენს გაფიცვას რევოლიუციისთვის, კრება ადგენს, ეთხოვოს კახეთის რკინის გზის გამგეობას დაურიგოს მოსამსახურეებს მარტის თვის ხვედრი ფული მთავრობის დეკრეტის მიხედვით პირველ აპრილამდე. მანამდე კი მუშები მუშაობას განაახლებენ.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** დაადგინა სასურსათო განყოფილების ჯარში გაწვეულ მოსამსახურეებს მიეცეთ ერთ დროული დახმარება. ვინც სამ თვეზე მეტს მსახურებდა—ერთი თვის ჯამაგირი. ვინც ნაკლებს—ნახევარი თვის.

◆ **მუნიციპალიტეტების მოსამსახურეთა ყრილობა.** ახლო მომავალში მოიწვევენ კავკასიის მუნიციპალურ დაწესებულებებში მოსამსახურეთა ყრილობას.

◆ **ახალციხის ქალაქის საბჭომ** 26 მარტს დაადგინა ახალციხე შევიდეს კავკასიის ქალაქთა კავშირში.

◆ **შრომის სამინისტროს დადგენილებით** დაწესებულებებში და წარმოებებში მომხდარი უთანხმოება უნდა გადაეცეს გასარჩევათ მომრიგებელ კამერას, თუ ამას მოითხოვენ მოსამსახურენი.

◆ **მთავრობის თავმჯდომარე** ევგ. გეგეჭკორი გაემგზავრა რა თფილისიდან რამდენიმე დღით თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დაავალა სამიწათმოქმედო კომისარს ნ. გ. ხომერიკს, სამხედრო—გენერალ ოდიშელიძეს.

◆ **სურსათის საქმე.** ქალაქის თავმა შემდეგი განცხადება წარუდგინა მთავრობას: მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გაუწყოთ, რომ ქალაქის მდგომარეობა სურსათის მხრივ მეტათ ცუდ მდგომარეობაშია, საჭიროა დროზე მივიღოთ ზომები და კავკავიდან ჩამოვიტანოთ პური. აუცილებლივ საჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული ზომები საქართველოს სამხედრო გზის დასაცავათ და მთავრობამ უნდა მისცეს ქალაქს ფული პურის შესაძენათ.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საბჭოს სოც.-დემოკ. ფრაქციის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება მესამე კოლექტივის კრება. დღის წესრიგი: მე-7 დე კოლექტივის მოწყობა ნავთლუღში, მიმდინარე მომენტი, მუშათა კლუბი და სხვ. კითხვები. კოლექტივის წევრებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია გლეხთა ცენტრის სხდომა.

— დღეს, 29 მარტს, საღამოს 5 საათზე, კოლექტივის ახალ ბინაზე დანიშნულია მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— 30 მარტს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ეროვნულ საბჭოს ტეხნიკურ სექციის სხდომა.

## საად.-მამულო რეფორმა

სამიწათმოქმედო სამინისტრომ თავის ემისარებათ დანიშნა: ახალციხის მაზრაში—ე. მიქელაძე, ერევნის გუბ.—ჰ. აზატიანი, ბორჩალოს მაზ.—გასანაბდულ ზადე და პოპანდაპულო, ქუთაისის გუბ.—რ. ყიფიანი და ზაქარია გურული, ზაქათალის მაზრაში გაიგზავნა სამი ემისარი. ემისარების დანიშნულებაა მიიღონ ზომები საადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ.

— თფილისის საგუბერნიო საადგილ-მამულო კომისიამ თფილისის გუბერნიაში დანიშნა მამულების მიმღები 11 კომისია. თფილისის, სიღნაღის და გორის მაზ. მიმღები კომისიები ამ დღეებში შეუდგებიან მუშაობას.

სამიწათმოქმედო სამინისტროს რწმუნებულთა თაოსნობით დუშეთის მაზრაში მოხდა თათბირი, რომლის საგანი იყო საადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ ზომების გამონახვა.

თათბირს დაესწრო სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის წარმომადგენლები, მაზრის კომისარი, მცხეთის კომისარი და სამინისტროს რწმუნებულები. თათბირმა დაადგინა გაიყოს მთელი მაზრა 6 ნაწილათ გარდა იმ რაიონებისა, სადაც მეჯოგეობას მისდევენ და ამისდამიხედვით შეუდგენ საადგილ-მამულო რეფორმების განხორციელებას.

— ასეთივე თათბირი მოხდა გორის მაზრაში. თათბირს დაესწრო ქალაქის თავი, მიწის მზომლები, ტყის მცველები, სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის წარმომადგენლები. თათბირმა დაადგინა უპირველეს ყოვლისა მამულების ჩამორთმევა მოხდეს ახალქალაქისა და მეჯვრისხევის რაიონებში.

## თავდაცვა გარეშე მტრისაგან

### შესხდეძით!

(ღია წერილი „საქართველოს“ რედაქც.)

— „საკმაო იყო, რომ გურულს დაენახა ეროვნული საფრთხე და გასაჭირი, რომ დამსხვრეულიყო ყველა სოციალისტური და ინტერნაციონალისტური სათამაშოები და ოცნებანი. გურული და მასთან ყველა ქართველები სამშობლო მიწა-წყალს ეროვნული თავისუფლების დასაცავათ მიეშურება და არა როგორც სოციალისტი, ინტერნაციონალისტი და ამა თუ იმ პარტიის წევრი, არამედ როგორც ქართველი, როგორც მამულიშვილი“. (ხაზი ყოველგან ჩვენია ვ. ღ.)

ასე სწერს საქართველოს რედაქცია თავის მოწინავეში (იხ. „საქართველოს“ № 55.) იმ მოწოდების გამო, რომლითაც მიმართა ქართველ ერს რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტმა.

აქ ორი აზრია გატარებული: 1) რომ გურულებში უკვე დამსხვრეულა ყველა სოციალისტური, ინტერნაციონალისტური სათამაშოები და ოცნებანი და 2) რომ გურული მიეშურება ეროვნული თავისუფლების დასაცავათ არა როგორც სოციალისტ-ინტერნაციონალისტი და პარტიის წევრი, არამედ—როგორც ქართველი, როგორც მამულიშვილი.

რადგანაც სიტყვა „მამულიშვილი“, თავის თავად მეტად კეთილშობილი შინაარსის მქონე ჩვენს ლიტერატურაში იხმარება განსაზღვრული ნაციონალისტური ცნების გამოსახატავად—ამიტომ ზემო ამონაწერის პირდაპირი დასკვნა ასეთია: გურულების აღზნებული სწრაფვა გარეშე მტრის შემოსევისაგან რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვისადმი მიმართული ყოფილა ნაციონალისტური მიდრეკილება, წინააღმდეგ აქამდე მათში არსებულ ინტერნაციონალური სულის კვეთებისა.

მართალია ამ ფაქტის ასეთი დაფასება?

— არა, არ არის მართალი.

თავდაცვის პრინციპი ქვაკუთხედია ორივე ინტერნაციონალის საომარი პოლიტიკისა; ის სახელმძღვანელო ლოზუნგია ინტერნაციონალური პროლეტარიატისა.

როცა გასული საუკუნის მეორმოცდაათე წლებში გერმანიაში ელოდენ ნაპოლეონ მესამეს თავდასხმას, მარქსი მოუწოდებდა გერმანიის მუშათა კლასს იარაღი აესხა და შემოსევას გამკლავებოდა. ამავე ნაპოლეონის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევდა მუშათა კლასს ფრიდრიხ ენგელსი და ლასალი. გერმანიხ-საფრანგეთის ომში ვიდრე საფრანგეთი მიაჩნდათ დამცემ მხარეთ—მარქსი და ენგელსი მოუწოდებდა გერმანიის მუშათა პარტიას, თავი დაეცვა შემოსულ მტრისაგან. სწორეთ ამ მოსაზრებით, ამბობს მარქსი „თავდამსხმელს ისე უნდა შეუტიო, რომ თავდასხმა ველარ მოახერხოსო“. ამავე აზრით არის ნათქვამი ენგელსის შესანიშნავი სიტყვები „თუ დაგვესხმიან, ჩვენ თავს დავიცავთ“.

ამნაირათ, თავდაცვა და დემოკრატიული ზავის ხელსაყრელი პირობებისათვის ბრძოლა—ეს წმინდა ინტერნაციონალური პრინციპია.

კავკასიის დემოკრატიამ ოსმალეთს წაუყენა დემოკრატიული ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე დამყარებული და ასე მოიქცა ის მაშინ, როცა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთი დამარცხებული იყო და მისი ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი ჩვენს ჯარებს ჰქონდა დაპყრობილი. მადლობის მაგიერ ბოლშევიკების საჩუქრით წათამამებულმა ოსმალეთმა ბათუმი და ყარსი მოგვთხოვა და მთელი საქართველოს თვითმართველობას დაემუქრა. ჩვენი დაპყრობა და დამონავება მოინდომა.

ასეთს პირობებში მათ წინააღმდეგ გურიის, საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დარაზმვა ყველა სოციალისტ. ინტერნაციონალისტის წმინდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს და ჩვენც, გურიის მოძრაობის მონაწილენი, მხოლოდ ამ მოსაზრებით დავადექით თავდაცვის გზას და მივდივართ პოზიციებისაკენ, როგორც სოციალისტები, ინტერნაციონალისტები და პარტიის წევრები*) და აღშფოთებით ვიხსენიებთ ყველა იმათ, ვინც ამ ჩვენს წმინდა ინტერნაციონალურ გრძნობას ესვრის ნაციონალისტურ ტალახს.

დარბაისელმა „საქართველომ“ კი ყალბათ გააშუქა გურულების მიერ თავდაცვის ნიადაგზე გადადგმული ინტერნაციონალური ნაბიჯი და პარტიული ჟინიანობით შეპყრობილმა, მაშინ მოინდომა პარტიული ანგარიშის გასწორება, როცა საერთო-საერო ინტერესი მოითხოვდა, რომ პარტიული გამიჯვნა შესუსტებულიყო განსაკუთრებით თავდაცვის საქმეში. გარდა ამისა, გურიის მოწოდება გამოცემულია თავდაცვის კომიტეტის მიერ, რომელშიაც შედიან ყველა პარტიები და თვით „საქართველოს“ პარტიის წარმომადგენელი, მაშასადამე, ის ინტერპარტიული მოწოდებაა და რათ უნდა ყოფილიყო მისი შინაარსი მაინცა და მაინც პარტიული, სოციალისტური, ინტერნაციონალისტური? რათ უნდა გაეპვრიტა ის „საქართველოს“ მარტო პარტიული—გამთიშველი წერტილიდან მაშინ, როცა ერის ბედ-იღბალი მოითხოვს საერთო მოქმედების ხაზს ერის და ქვეყნის თავდაცვის საქმეში? ომი წარმოადგენს არა კლასთა ბრძოლას, არამედ სახელმწიფოთა ბრძოლას და ასეთი განსაკუთრებული დამახასიათებელ თვისებათა გამო ერის და ქვეყნის დაცვის ნიადაგზე მოწინააღმდეგე კლასებიც კი ერთდებიან, მაგრამ საერთო სამოქალაქო ცხოვრებაში, ურთიერთულ დამოკიდებულებში ისინი თავიანთ კლასობრივ სახეს კი არ კარგავენ.

მე არ ვიცი რას ფიქრობდა „საქართველო“, როცა ზემოხსენებულ მოწინავეს ბეჭდავდა, მხოლოდ ვამტკიცებ, რომ მისი გამოსვლა თავდაცვის საქმის მხოლოდ ხელის შემშლელია.

ერის არსება და მისი უმთავრესი ძალა მუშათა კლასია, დემოკრატიაა და ამიტომ გასაჭირის დროსაც მისი მხსნელი მუშათა კლასი და მისი პარტიაა.

1893 წელს 1 ნოემბერს ქ. კობაში (საფრანგეთში) მომხდარ მუშათა დღესასწაულზე დეპუტატმა ჟიულ გედმა სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ გვიწოდებენ უსამშობლოს. მე წინააღმდეგი ვარ ამ ტერმინისა. პატრიოტები ვართ ჩვენ, მუშები და არა თქვენ ბურჟუებო! სამშობლო გასაჭირის დროს ჩვენში პოულობს მფარველობას და არა თქვენში! ომში ჩვენი სისხლი იღვრება და არა თქვენი ბანკირებო და ფინანსისტებო! რესპუბლიკის დაწესებულებანი ჩვენი ფულით ინახება და არა თქვენით, მდიდრებო! ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ხელებით კეთდება და არა თქვენის თანხის პატრონებო!“

დიაღ, ნამდვილი პატრიოტი—სოციალისტი და ინტერნაციონალისტია.

ის, რაც დღეს გურიაში ხდება, ინტერნაციონალისტების მუშაობის ნაყოფია, მათი მოღვაწეობის შედეგია.

ის ფაქიზი და უმაღლესი პატრიოტული აღტყინება, რომელსაც განიცდის დღეს გურიის დემოკრატია, ინტერნაციონალური სხივებით არის გაცისკროვნებული და შორს მისგან ნაციონალისტებო, თქვენი შოვინისტური ხელები!

ვინ—ღან.

გურია.

---

*) ზოგი ადგილებიდან მთელი კოლექტივის შემადგენლობა არის ფრონტზე გამგზავრებული. გურიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე აკეთის და სხვა კუთხეების წარმომადგენლები ჯარისკაცის ფორმაში ამოვიდნენ ბათუმიდან ოზურგეთში. ვ. ღ.

## მოვალეობის მსხვერპლნი

### ცხინვალში 19 მარტს დახოცილების ხსოვნას.

ძმათ შუბლ-დახვრეტილთ, უდროთ სოფლის მონაშორებსა,
უდრეკ მეომართ, უებრო გმირთ, სულის სწორებსა,
ვუწერ სიმღერას, გადმოვანთხევ გრძნობათ მორევსა,
ესმას ლიახვსა! ესმას ორგულთ! ესმას გორებსა!..

გმირნო-რაინდნო! ჩვენო კარგნო! მამშვენებელნო!
არწივნო ქართლის, მომავლის გზის მაჩვენებელნო!
თქვენ მარად გდევდათ ჩვენი ფიქრი და ჰმუნვარება,
ძმლე სიყვარული, ჩუმი შიში და მდუმარება,—
თანვე ქურდული ტყვია მტრისა და მძულვარება!..

სიკვდილის წინეთ, ოდეს მტრისგან ბანაკს იცავდით,
ხომ არ გვიგზავნეთ საყვედური, ხომ არ გვკიცხავდით,
რომ დაგვიანდა გაგვერღვია მტარვალის ქსელი
და დროით თქვენთან ვერ მოვიდა რაზმი მაშველი...
განგმირეს გული... იდეა კი გადარჩა მთელი...
—აზრს სევდა სერავს, შხამი მწარე, გულის მომკვლელი...

ოჰ, მოგვიტევეთ! შურს ვიძიებთ, ცეცხლათ ვინთებით!
მათ გადავუხდით, ვინც თქვენ გმტრობდა, სასტიკი ნებით,
ვინც უნუგეშოთ სასიკვდილოთ ძმა გაიმეტა,
ვისაც უნდოდა გარკვეულად აზრის დახვრეტა,—
ისე სისწორით, ვით სჩვევია თქვენს გმირ ხელმძღვანელს,
მაჩაბელს რაინდს, მტერთან ომში მარად უძლეველს!

ხოლო დანარჩენთ ჩავაგონებთ ლმობიერებას
მოხუც კეცხოვლის, მოვაგონებთ გონიერებას...
ვეტყვით: ნუ ანთხევს ძმა ძმას საშიშს შურის საწამლავს,
საერთო მტერთან გვმართებს ბრძოლა,—ნურვინ დამალავს!..

განგმირეს გულნი... იდეა კი გადარჩა მთელი...
აზრს სევდა სერავს, შხამი მწარე, გულის მომკვლელი!..

ძმათ შუბლ დახვრეტილთ, უდროთ სოფლის მონაშორებსა,
ვუწერ ამ სიტყვას, უებრო გმირთ, სულის სწორებსა...
ესმას ლიახვსა, ესმას ორგულთ, ესმას გორებსა!
გორი, 25 მარტი.

იასამანი.

### გიორგი მაჩაბელს*).

მგონი მიდიხარ... გვიანღა არი
ჩვენი წუხილი და მჭმუნვარება...
სხვათ მიემატვის ძმა-მეგობარი,
ჩვენ ფიქრი გვმართებს და მდუმარება!
ქართლის წიაღში შენი მხნე სიტყვა
მედგრათ ისმოდა თავაზიანი,
ჩაგრულთ ესმოდა რაც მათთვის ითქვა...
და დღეს მათ სტოვებ შორი გზიანი!..
ნახვამდის! სხვაგანც ჟამს გაჭირვების
გეშოროს მდურვა, სიავე-გმობა!
ნუ მოგაკლდება შენებრ გმირების
იმედი, რწმენა და თანაგრძნობა!

იასამანი.

---

*) გორის სამაზრო კომისარიატზე ქართველ ჯარისკაცთა ნაწილის თავდასხმის შემდეგ გიორგი მაჩაბელს აზრათ ჰქონდა თფილისში გადასვლა. ის კიდევაც გადაიყვანეს საგუბერნიო კომისრის თანაშემწეთ.

## უშიშარი რაინდი

### (გიორგი მაჩაბლის ხსოვნას).

მთიდან მოსული ვაჟკაცი
გეზელ ქორივით ჰკიოდა
თავი ხმლით ჰქონდა ნაჩეხი
გულიდან სისხლი სდიოდა,
სამოცი ლეკი მოეკლა
უვაჟკაცობას ჩიოდა...

ხალხური.

მე ის პირველათ 1905 წ. ვნახე... თავით ფეხებამდე შეიარაღებული ახალგაზდა ჭაბუკი ცხენზე შემჯდარიყო და წითელ რაზმს მიუძღოდა წინ. მხარ-ბეჭ ბრტყელი, ცოცხალი და ძალზე მოძრავი შუა ტანის მოხდენილი ვაჟკაცი პირდაპირ ზღაპრულ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელზე. მაშინ გიორგი მაჩაბელის სახელი მთელ ქართლში გრგვინავდა. იგი შიშის ზარს სცემდა შავრაზმელ თავად-აზნაურობას და აღფრთოვანებას იწვევდა მთელ გლეხკაცობაში. ხალხის მტრებმა გიორგი ნიშანში ამოიღეს და მიუსაჯეს მას სიკვდილი. გიორგის მოკვლა წილათ ხვდა ერთ შავ-რაზმელ თავადიშვილს, მაგრამ მისი ბოროტი განზრახვა ვერ იქმნა სისრულეში მოყვანილი. ხალხის ბელადი სიკვდილს გადარჩა...

1906 წ. რეაქციამ გაიმარჯვა ნიკოლოზის ჯაშუშებმა შეიპყრეს ახალგაზდა არწივი. ციხე, ბორკილები, გასამართლება, სიკვდილით დასჯის მოლოდინი და უფლების აყრა,—აი ის ეკლიანი გზა, რომელიც გიორგიმ გამოიარა. როდესაც გიორგი ბათუმის ციხიდან მეტეხში გადმოიყვანეს, ჯალათებს უნდოდათ იგი გზაში მოეკლათ. მაგრამ აქაც შემთხვევით გადარჩა გიორგი სიკვდილს. ყველა ამის შემდეგ ბევრს ეგონა, რომ გიორგი ჩამოშორდებოდა თავის საყვარელ საქმეს. მაგრამ გმირები ასე მალე არ იხრიან თავს უსამართლობას წინაშე, 1917 წ. მარტში იფეთქა რევოლიუციამ და გიორგის ვხედავთ ისევ ჩვენს ბანაკში. რევოლიუციონურ სტიქიაში დაბადებულს მას დაეტყო კვლავ გამოცოცხლება. გიორგი გორის მაზრის კომისარია და თავმჯდომარე მუშათა საბჭოსი. ადმინისტრატიული უნარი, ფრთხილი და თავაზიანი მოპყრობა ყველასთან, მიუდგომლობა და გაბედულება,—აი რა ღირსებისა იყო გიორგი მაჩაბელი, როგორც კომისარი. მისი მახვილი სიტყვა ყველას გულში სწვდებოდა და ხშირად ღიმილს იწვევდა ამხანაგებში. როგორც გამოცდილი მებრძოლი იგი გვაფრთხილებდა და ხშირად გვეუბნებოდა ყველას: „ამხანაგებო! თავ-დავიწყებას ნუ მიეცემით. გახსოვდეთ, რომ რევოლიუცია ჩვენ „ფოშტით“ მივიღეთ პეტროგრადიდან, ჯერ კიდევ მოგველის ჩვენ დიდი განსაცდელი“. გიორგის სიტყვები ასრულდა. წარსული წლის ოქტომბერში გაირღვა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი და ამოძრავდენ ყველგან შავრაზმული ძალები. ამ ერთი თვის წინედ ბნელმა ძალებმა გორშიც ამოყვეს თავი და იერიში მიიტანეს ადგილობრივ კომისარიატზე. ავაზაკებმა და ჯიბგირებმა, რომლებმაც მაშინ ქართულ პოლკში მოიკალათეს, კომისარიატი დაარბიეს, ხიშტებით დაჩხვლიტეს ნოე ჟორდანიას სურათი, გაიტაცეს თოფები და დაიწყეს მშვიდობიან მცხოვრებლების ცარცვა-გლეჯა. გიორგის ამ დროს, რასაკვირველია, არ შეეძლო გაჩუმება. მან პირნათლად შეასრულა თავის მოვალეობა რევოლიუციის წინაშე და მთელი ქალაქი გადაარჩინა აოხრებას. როდესაც სალდათის შინელში გადაცმულმა ყაჩაღებმა კომისარიატს სროლა აუტეხეს, გიორგიმ აამოძრავა ტყვიის მფრქვეველი და გაჰფანტა ავაზაკების ბრბო. ეს უკანასკნელნი გორიდან წავიდნენ და იარაღით ხელში დაიწყეს თარეში მთელ მაზრაში. ამ ერთი კვირის წინედ გორში ცნობა მოვიდა: ცხინვალი ყაჩაღებმა დაარბიესო. გიორგიმ სწრაფად შეჰკრიბა თავისი რაზმი და 200 წითელი გვარდიელით გაემგზავრა აღნიშნულ ალაგას. გიორგი უკანასკნელ წუთებამდის ეცადა არ დაენთხია სისხლი, მაგრამ „აჯანყებულმა მონებმა“ პირველად დაუწყეს სროლა უიარაღო ხალხს მიტინგზე. გაჩაღდა ნამდვილი ომი. მნახველები ამტკიცებენ, რომ გიორგი მაშინ გააფთრებული ლომივით იბრძოდა და ტყვიისმტყორცნელით იგერიებდა ავაზაკების თავდასხმას. საუბედუროდ რაზმს ტყვია შემოელია და ბევრს გვარდიელს გული გაუტყდა. გიორგი კი მაინც იმედს არ ჰკარგავდა ბოლომდის და მოუთმენლად ელოდა თფილისიდან შველას... რამდენიმე წუთის შემდეგ გიორგი ფეხში დაჭრილი საავადმყოფოში დააწვინეს ამხანაგებმა. ამ დროს შეიარაღებული, გამხეცებული ბრბო ამტვრევს საავადმყოფოს კარებს და დაუწყებს თავის მსხვერპლს ხიშტებით წამებას... „მე მკლავთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩემი სიკვდილი თქვენ ძვირად დაგიჯდებათ“!—აი უკანასკნელი სიტყვები გიორგისა. ამის შემდეგ დაჭრილმა გმირმა იძრო „მაუზერი“ და რამდენიმე ყაჩაღი იქვე დააწვინა...

ასე გმირულად დაიღუპა ჩვენი საყვა-

რელი და ხალხისთვის თავდადებული გიორგი. რად მოჰკლეს იგი? რა სურდათ ამ აჯანყებულ და გამხეცებულ მონებს? ვის რა დაუშავა ამ ხალხის გულისთვის წამებულმა ადამიანმა?.. ...„გიორგი მაჩაბელს თათრები მოჰყავდა ცხინვალში და იმიტომ მოჰკლესო ან და მისი „გვარდიელები“ თავადაზნაურების მომხრენი არიანო“.—ასე იმართლებენ ეხლა თავს დამარცხების მოლოდინში გიორგის ჯალათები. მაგრამ ამაოდ!.. მათ კარგად იციან, ვინც იყო გიორგი მაჩაბელი და „ვაი დამარცხებულთ!“ დაე იცოდნენ მათ, რომ ვერაგულად მოკლულ გმირის ძვლებზე აღსდგება შურისმაძიებელი!.. გიორგი დამცველი იყო რევოლიუციონურ წესიერების და იგი მოჰკლეს იმათ, ვისაც ეს წესიერება სძულს. ხალხის ინტერესების დამცველი ხალხის მტრებმა მოჰკლეს... მახსოვს ერთი თვის წინედ გიორგიმ ამ სიტყვებით მიმართა ქ. გორში ქართულ პოლკის გახულიგანებულ ჯარისკაცებს: იცოდეთ, თქვენ შეიძლება მოჰკლათ გიორგი მაჩაბელი, მაგრამ მის მაგიერ გაჩნდებიან ასი და ათასი მაჩაბლები. გახსოვდეთ კარგად, რომ თქვენ ვერასოდეს ვერ მოჰკლავთ მის აზრს, მის იდეიას“!..

ძვირფასო მეგობარო! რა იცოდი, რომ ეს სიტყვები ასე მალე ასრულდებოდა შენს თავზე. თუმცა შენისთანა მაჩაბელი აღარ დაიბადება, მაგრამ შენ იდეიას ვერ შეეხება ჯალათების ბინძური ხელი!..

ძველი მეგობარი.

## სანდრო კეცხოველი

(პირადი შთაბეჭდილებანი)

1910 წელს პირველად გავეცანი სანდრო კეცხოველს მეტეხის ციხეში.

ამ წლიდან იწყება ჩვენი ერთმანეთთან დაახლოვება. ბევრი რამ გამეგონა ამ ადამიანზე და მის მოღვაწეობაზე; მაგრამ ეს მხოლოდ გაგონილი ამბავი იყო. ციხეში ვერ ნახავდით ვერც ერთ კატორღელს, რომ იმის სახელი და მოღვაწეობა მოწიწებით და პატივისცემით არ მოეგონებინათ.

რით დაიმსახურა მან ასეთი პატივისცემა და სიყვარული თვით იმის იდეურად მოწინააღმდეგე ტუსაღთა თვალში? სანდრო პირდაპირი განხორციელება იყო მისი რწმენის და მაღალი იდეის, რომელიც კუბოს ფიცრამდე ასე ფაქიზად და ნაზად ატარა მან და ბოლოს სიცოცხლე შესწირა ცხინვალში აჯანყებულ ხულიგან ოსების დამშვიდების დროს. მე არ მახსოვს, რომ ციხეში სანდროს ვინმე უმადური ყოფილიყოს პირიქით, სადაც, რომელ საკანშიაც ის იქნებოდა, იქ ყველა ტუსაღი განურჩევლად მისი რწმენისა ერთის აზრით, ერთის გრძნობით იყო გამსჭვალული—არ დაერღვიათ ის საერთო წესი, რომელსაც სანდრო შემოიღებდა. ის ყველას თავის მამობრივი მზრუნველობით თავს ევლებოდა; ის იყო ყველას ქომაგი და დამცველი ციხის ადმინისტრაციის თავდასხმისაგან, რისთვისაც ის ხშირად „კარცერით“ ან სხვა ცუდ ალაგას გადაყვანით ისჯებოდა, რასაც მთელი ციხე გულისწყრომით ეგებებოდა, მაგრამ სანდრო მტკიცეთ იდგა თავის აზრზედ და ისევ თავისებურ წესებს ამყარებდა ის იქ, სადაც გადიყვანდენ. არა ერთხელ და ორჯერ აუცრემლებია ტუსაღები მისი გულის სიღრმიდან ამონახეთქი, ხმა-ტკბილ და მგრძნობიარე სიტყვებს. ერთი სიტყვით, როცა სანდრო გაჩნდებოდა იქ ყველა მეგობრულათ ცხოვრობდა, რისთვისაც მან შესაფერი სახელწოდება, „პაპაშა“, მიიღო.

7 აპრილი 1912 წელი კერძოთ ჩემთვის ღირსშესანიშნავი დღე იყო. ამ დღეს სხვა ტუსაღებთან ერთათ მე და სანდროსაც გვაგზავნიდენ რუსეთის საკატორღე ციხეში. ყველა სიხარულს ვგრძნობდით, რომ ჩვენი საყვარელი „პაპაშა“ ჩვენთან მოდიოდა. ყველა ერთის გრძნობით და ერთის აზრით ვიყავით გამსჭვალული, რომ ციხეში ერთათ მოვხვედრილიყავით. გზაში ხშირათ მეტყოდა ხოლმე, შვილო, რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ჩვენ ერთათ, ერთ საკანში მოვექცეოდეთო. საღამო ხანი იყო, როცა გამოგვიძახეს ყველას და ციხის ეზოში ჩაგვამწკრივეს 30-მდე კატორღელი და 40 გამასწორებელ რაზმში გასაგზავნი. მთელი ციხე ფეხზე იდგა და ნაღვლიანათ უყურებდენ სანდროს და ჩვენს „ბედნიერებას“ შენატროდენ, რომ ჩვენთან ერთათ მოდიოდა „პაპაშა“ სანდრო. აგერ სანდრო გამოეყო რაზმს და ჰაერში გაისმა მისი ნაზი, ხმა-ტკბილი, მაგრამ გრძნობებით აღსავსე გამოსასალმებელი სიტყვები, რომელსაც ციხიდანაც გამოეხმაურენ დაობლებული ტუსაღები. საღამოს 8 საათზე უკვე თფილისის სადგურზე ვიყავით და აქედან ღამის 12 საათზე ბაქოსკენ გაგვამგზავრეს, აქ არ შეუდგები იმის აღწერას, თუ რა ტანჯვა-წვალებაც გამოვიარეთ, როგორც გზაში, ისე სხვადასხვა გადასაგზავნ ციხეებში ყოფნის დროს.

ბოლოს, ერთის თვის ტანჯვა-ვაების შემდეგ, როგორც იყო, მივაღწიეთ დანიშნულ ადგილას,—ორლოვის დროებით საკატორღო ციხეს. ეს ერთად-ერთი ციხე იყო მთელს რუსეთში, სადაც ყველაზედ სასტიკი წესები იყო შემოღებული ურჩი ტუსაღების დასათრგუნავად. გზაში გავიგეთ, რომ მე და სანდროს მეტეხის ციხის გამგის გუსიევის წყალობით ცუდი ატესტაცია გვქონდა, რაც ტუსაღისთვის მთელი სასჯელის ვადის გათავებამდე ტანჯვა-წვალებას ნიშნავდა. ვაგონში შემოდის „კონვოის“ უფროსი და სანდროს სიცილით ეუბნება: „არა გრცხვენიან 55 წლის მოხუცს ცუდი ყოფა-ქცევა დაგიმსახურებიაო“. სანდროც თავის გონება-გამჭრიახობით უხსნის, თუ რა ნაირად ესმის ციხის ადმინისტრაციას ცუდი ყოფა-ქცევა. „თუ სიმართლეზედ ხმა ამოიღე და უკანონობაზე მიუთითე ციხის ადმინისტრაციას, ეს მისთვის არ მოსაწონია და უეჭველად ცუდი ყოფა-ქცევით მოგნათლავსო“, უპასუხა სანდრომ. მერე იცით სად მიდიხართ—გვეუბნება უფროსი—ეს ის ციხეა, სადაც ცოცხლები შეჰყავთ და მერე კი მკვდრები გამოაქვთო. მისი სიტყვები რამდენადმე გამართლდა; მისვლისთანავე ვიგრძენით ციხის სუსხი. სანდრო ხომ ცხოვრების გმირი იყო, ცხოვრების უკულმართობაში გამობრძმედილი, ფოლადივით ცეცხლში გამოწრთობილი, რომელსაც არა ერთი და ორი ასეთი რეჟიმები განუცდია. მაშასადამე, ვერც ეს წესები შეაშინებდა და ყველაფერს ეგუებოდა და იტანდა იმ იმედით, რომ იდეია, რისთვისაც ის მთელ თავის პირად ბედნიერებას და სიცოცხლეს სწირავდა, ბოლოს გაიმარჯვებდა და სამაგიეროს მიუძღვნიდა მის შეურაცხმყოფელს. ყველას ამ გრძნობით გვაიარაღებდა და გვთხოვდა აგვეტანა ყოველივე დამცირება თუ გვსურდა, რომ კვლავ დავბრუნებოდით ხალხს და იქ შეგვეწირა ჩვენი თავი.

ციხეში მისვლის დროს წაგვიყვანეს საკარანტინოთ. საიდანაც ერთის თვის შემდეგ გადაჰყავთ საზოგადო კორპუსში. მე და სანდრო ერთ პატარა საკანში მოგვათავსეს, როგორც „გასასწორებელი“ პირნი. ვახშამი მოგვიტანეს ბრინჯის წვენი. სანდრო, მგონი არ მართლდება იმ ოფიცრის სიტყვები—ვეუბნები მე. ეგ არაფერი შვილო, ოთხ საათში ვერაფერს დააფასებ. საქმე შემდეგ არისო. მეორე დილით ადრე შემოდის განყოფილების უფროსი, გვეკითხავს ნოტაციას თუ როგორ უნდა დავიჭიროთ თავი ან ვის რანაირად ვუპასუხოთ და გადის ამის შემდეგ. ჩვენ ვანაწილებთ კამერის საქმეებს: სანდრო ვისრულობს იატაკის წმენდას, ხოლო მე მავალებს თითბრის ჰურჭლების წმენდას, როგორც ადვილ საქმეს. ორი საათის უკან შემოდის ისევ განყოფილების უფროსი სპივჩიკი; გვამწკრივებს ერთ მიჩნეულ ადგილს და ყოვლად უმიზეზოდ იწყებს „გასწორების“ საქმეს ფიზიკურის ძალით. არ დაინდო მოხუცის თეთრი წვერი და მისი ბინძური ხელიც კი შეახო. როცა ცემით გული იჯერა, წავიდა და თან დედას იგინებოდა. ერთის საათის განმავლობაში ფეხზე ვიდექით და ვერც ერთს ხმა ვერ ამოგვეღო. აი ამ დღიდან ორი თვის განმავლობაში იწყება ჩვენი ტანჯვა-წვალება, რამაც ჩემზედ ძლიერ ცუდი გავლენა იქონია და გადავსწყვიტე წინააღმდეგობის გაწევა, რასაც სიკვდილი მოჰყვებოდა უეჭველია. სანდროს ფხიზელ გონებას არ გამოეპარა არც ეს და თითქმის ტირილით მითხრა, რომ ამ განზრახვაზედ ხელი ამეღო. ამ დღიდან მთელი ორი თვის განმავლობაში იწყება ჩვენი წამება, რასაც სანდრო ვაჟკაცურათ იტანდა და გულციათ ატარებდა ამ წამების ჯვარს. არ შემიძლიან ყველა ის წამებანი აგიწეროთ დაწვრილებით, რაც ამ ციხეში გამოვიარეთ კერძოთ ჩვენ და საერთოდ ყველამ. რკინის ნერვები უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ყოველივე ის აეტანა, რაც აქ ხდებოდა. აქ ყოველივე ადამიანური უფლებები ფეხქვეშ იყო გათელილი, წაბილწული და შეგინებული. ორლოვის ციხე საისტორიო ციხეა. სანდროსაც დაასვა თავისი დაღი ამ ციხემ. ყოველთვის ოხუნჯი, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი მოიცვა რაღაც დუმილმა და ჩაფიქრებამ, მარა მისი სულის სიმტკიცე, მისი გმირული გამოსვლები ერთი ათად გაადიდა და გააძლიერა. ის აივსო შურისძიების და სამაგიეროს გადახდის წყურვილით.

6 დეკემბერს 1912 წელს მე და სანდრო ერთმანეთს ვშორდებით. ის რჩება ორლოვში, საიდანაც 1913 წ. მანიფესტის ძალით იგზავნება შორეულ ციმბირში იაკუტსკში, ხოლო მე კი მოსკოვის საკატორღო ციხეში ვადის დასასრულებლათ. დიდხანს ვერ გავიგე, თუ სად იმყოფებოდა სანდრო, მაგრამ ბოლოს შემთხვევით ქ. ბოდაიბოში ერთი ამხანაგისაგან ვტყობილობ, რომ ის იმყოფება ქ. იაკუტსკში და გაორკეცებულის ენერგიით აწყობს დაშლილ ორგანიზაციებს და ამ ორგანიზაციების გარშემო თავს უყრის ყველას, ვინც თანაუგრძნობს ხალხის მოძრაობას.

აქვე უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ დიდი უმრავლესობა გადასახლებულთა ეწეოდა „მეჩხანურ“ ცხოვრებას და საერთო საქმე განზედ, სხვათაშორის, ითვლებოდა მათთვის, ვინც ასე თუ ისე რიგიან პირობებში აწყობდა თავის კერძო ცხოვრებას. მაგრამ სანდროს გამოცდილი ხელი აქაც ჩაერია და ორგანიზაციული მუშაობას პირველი ადგილი დაუთმო. ის აწყობს აქ კოლონიებს, ეწევა წმინდა პარტიულ მუშაობას, რომლის წყალობითაც იაკუტსკი ყველაზედ ორგანიზაციულად მოწყობილი შეხვდა რევოლიუციას. ამ დღიდან იწყება ჩვენ შორის მიწერ-მოწერა. საინტერესო არის მისი წერილები, რომელშიაც მთელი მისი სულის კვეთება და გრძნობაა ჩაქსოვილი. ჩემდა სამწუხაროდ დღეს ეს წერილები ხელთ არ მაქვს, მაგრამ ცოტა რამ შემიძლიან გადავსცე მკითხველს.—ერთ წერილში მისი ერთად ერთი ოცნება სამშობლოში დაბრუნება არის, სადაც ამბობს: „მოვესწრები ნეტა კიდევ ჩემს სამშობლოში, ჩემს ხალხში ყოფნას და მასთან მუშაობას, მასთან ჭირსა და ლხინში ყოფნას? და თითონვე პასუხს იძლეოდა: არა მგონია, რომ მეღირსოს ჩემი საყვარელი ხალხის და ამხანაგების ნახვა, მასთან მუშაობა, საერთო ბრძოლის ფერხულში ჩაბმა, მარა რომც მეღირსოს, დღეს იმდენი აღარ შემიძლია, რადგან ჯანი მთლად გატყდა, თუმცა გული ისევ მიმიწევს სამუშაოდო, ორლოვის ციხემ თავის სასტიკი წესების შედეგი მიანდერძა—ყელიდან სისხლი ამომდისო“.

27 თებერვალს 1917 წ. სანდრო ეღირსა მის ნანატრ დღეს; ხალხმა შური იძია და მთელი საუკუნოებით ნაჭედი ბორკილები დაამსხვრია. გაიღო გალიის კარი და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ციხის შემდეგ პირველად ირკუტსკში ვხვდები სანდროს მთლად გაჭაღარავებულს, დასუსტებულს, მარა რევოლიუციონურ ცეცხლით აღგზნებულს და გაახალგაზრდავებულს. ის აღტაცებით, როგორც პატარა ბავშვი, რევოლიუციის გამარჯვების სიხარულით აცრემლებული, ყველას თავს ევლება და ნაცნობს და უცნობს ულოცავს გამარჯვებას და მამაშვილურად კოცნის და გულში იხუტებს. როგორც კატორღაში ერთად მგზავრობა, ეხლაც განგებამ ერთად გვარგუნა თფილისამდე მგზავრობაც. უნდა გენახათ სანდროს აღელვება, როცა თფილისს უახლოვდებოდა. მის თვალს ბაქოდან ერთი წამითაც არ მოუსვენია. მას სწყუროდა იმ ხალხის ნახვა, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა და ფიქრობდა კიდევ განეგრძო მისთვის სამსახური. მაგრამ ის იმავე ხალხმა არ დაინდო. მისი 30 წლის მოღვაწეობის სამადლობლად ბინძურმა ხელმა ტყვიით გაუმასპინძლდა, სიცოცხლე მოუსპო ისედაც ათასჯერ წამებულს ადამიანს. გეკითხები შენ, მურტალო, მხეცო ადამიანო: რას ერჩოდი 30 წლის განმავლობაში შენთვის წამებულს ადამიანს, რათ დაადუმე მისი მგრძნობიარე და მჭერმეტყველი ენა? რისთვის განუგმირე რევოლიუციონური ცეცხლით და ადამიანისადმი სიყვარულით აღვსილი გული? რათ მოჰკალი შენი მოხუცი მასწავლებელი, მუდამ შენთან გვერდში მდგომი გასაჭირის დროს. ნუ თუ ასე აფასებ, უმადურო, შენთვის წამებულთ? მაგრამ... შენ ხომ ადამიანი არა ხარ, მტარვალო! შენ ხომ არ იცი და ვერ იგრძნობ სიყვარულს ადამიანისადმი. შენ მხეცი ხარ და მხეცადვე დარჩები.

თვალცრემლიანი ვემბორები, ჩემო სანდრო, შენს სპეტაკ თეთრს წვერს. შენი სახელი უკვდავი იქნება ჩვენ, შენგან დაობლებულ შვილების ხსოვნაში. ხოლო შენი მკვლელი მუდამ იუდასავებ მოხეტიალე და შეჩვენებული ხალხისაგან.

მანასე გოგუაძე.

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

**ხაშური** (დეპეშა). ხაშურის ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია განუზომელ მწუხარებას გრძნობს ძვირფას მებრძოლ ამხანაგების სანდრო კეცხოველის, გიორგი მაჩაბელის, კოსტა ყაზიშვილის და სხვა ამხანაგების ცხინვალელ შავრაზმელების მიერ მუხანათურათ მოკვლით. მშვიდობით მოხუცო სანდრო, მშვიდობით გულადო გიორგი, მშვიდობით ყველა, ვინც თავი დასდეთ რევოლიუციისათვის.

ხაშურის ს.-დემოკრ. ორგ. კომიტეტი.

**დიდი ჯიხაიში.** გულს ლახვარი ჩაგვცა გმირ-ამხანაგების სანდრო კეცხოველის, გიორგი მაჩაბლის, კოსტა ყაზიშვილის და სხვების ვერაგულათ მოკვლის ამბავმა. ზიზღი და წყევა-კრულვა ჯალათებს, რომლებმაც თავიანთი ბინძურ ხელით ბოლო მოუღეს დემოკრატიის ფხიზელ დარაჯებს.

დიდი ჯიხაიშის პარტიული ამხანაგები.

გულში ლახვარი ჩაგვცა ძვირფას ამხ. გიორგი მაჩაბლისა და სანდრო კეცხოველის დაღუპვამ. გურიის დემოკრატია დასტირის გმირთა გაციებულ გვამებს და ფიცს სდებს, რომ მთელი თავის სიძლიერით რისხვას დასცემს რევოლიუციის მტრებს და შავ რაზმელებს, რომლებმაც დაანთხიეს სანდროს და გიორგის უმანკო სისხლი. გურიის დემოკრატია ფიცს სდებს, რომ ის თავდადებით დაიცავს იმ პოსტს, სადაც უკანასკნელ სულის ამოსვლამდე მედგრათ იდგენ სანდრო და გიორგი და თუ საჭირო იქნა ისევე გმირულათ თავს დასდებს რევოლიუციისთვის, როგორც მათ: გურიის დემოკრატიის გულში სანდროს და გიორგის სახე წითელ სვეტათ იქნება ჩასახული.

გურიის სოც.-დემოკრ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

ცხინვალში მდგომ სამხედრო მომქმედი შტაბი გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას უძვირფასეს ამხანაგების, გმირების: სანდრო კეცხოველი, გიორგი მაჩაბლის, კოსტა კაზიევის და სხვების ვერაგულათ დახოცვის გამო. რევოლიუციონური ხალხი არ დაივიწყებს მათ პატიოსან მოღვაწეობას. ჩვენ ვამაყობთ მათი გმირობით. ვფიცავთ, რომ არ ვუღალატებთ მათგან დაწყებულ საქმეს. მათ სახსოვრათ და რევოლიუციონურ დემოკრატიის საკეთილდღეოთ ვფიცავთ, რომ ძირიან-ფესვიანათ ამოვაგდებთ კონტრ-რევოლიუციას, რომელმაც თავი იჩინა ცხინვალის რაიონში.

ცხინვალში მდგომ ჯარის და მისი შტაბის სახელით გ. გაგლოევი.

თავზარი დაგვცა რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლის წითელ გვარდიელის პეტრე ჩხაიძის ტრაგიკულათ დაღუპვამ. ფიცს ვსდებთ მისი ცხედრის წინაშე, რომ არ დავუშვათ ძირს ის დროშა, რომელსაც მან მსხვერპლათ შესწირა თავისი სიცოცხლე.

ჯავშნიანი მატარებელი, № 3 წითელ გვარდიელთა მონდობილობით

დიმიტრი ულენტი.

გულმა მწარეთ დაიკვნესა, როცა გაზეთში ამოვიკითხე, რომ სადახლოსთან შეტაკების დროს უგუნურმა ბრბომ მოჰკლა ამხ. ვარლ. ჭანტურიშვილი. ვინც ვარლამს იცნობდა, ის მიხვდება, თუ რა ძვირფასი ამხანაგი დავკარგეთ. მას ხალხი უყვარდა და მას შესწირა თავი, მსხვერპლათ დაედო რევოლიუციას. სიტყვას გაძლევთ დაუვიწყარო ამხანაგო ვარლამ, რომ ჩვენ არ ვაპატიებთ ჩვენს მტრებს და გაასკეცებული ენერგიით შევებრძოლებით და დავიცავთ იმას, რასაც შენ მთელის შენის არსებით ეტრფოდი, არ დავივიწყებთ შენს უმანკო სახეს. მშვიდობით ძვირფასო და დაუვიწყარო ამხანაგო ვარლამ.

ი. ზურაბიშვილი.

გულდათუთქული ვსტირით ძვირფას ამხანაგს და დაულალავ მებრძოლის სიმონ ცაგარელის უდროოთ დაკარგვას. ის ხალხის ნამდვილი შვილი იყო, დემოკრატიის სამსახურს ანაცვალა ყველაფერი და ბოლოს სიცოცხლეც შესწირა. სიმონმა ადრე მიიტანა რევოლიუციის სამსხვერპლოზე თავის ახალგაზდა სიცოცხლე. ის ღირსია ჩვენ მუდამ გვახსოვდეს და არას დროსაც არ დავივიწყებთ.

ნ. კახაძე, ვანო ნიკოლაიშვილი, შალვა ულენტი.

## ახალციხის მხარეში

არზრუმის დაცემის შემდეგ საერთო მდგომარეობა იცვლება მესხეთ-ივრისხევ-ახალციხის მხარეში შექმნილი პირობების გამო. ჩვენ წინდაწინ ვგრძნობდით, რომ შეუგნებელი ხალხი სულ სხვა მოძრაობის ქსელში ეხვეოდა, და ამის აუარებელი ფაქტები იყრიდა თავს ჩვენს წინაშე. შრომის მოყვარე, ხანგრძლივ მონობაში ჩავარდნილი ხალხი, დღეს არა ჩვეულებრივ მოძრაობას მისცემია და ბუნებრივათ მშვიდობიანობის მოსურნე თოფ-იარაღს ისხამს და ბრძოლისათვის ემზადება.

ყველაფერი დაჩრდილა სარწმუნოებრივმა ფანატიზმა, პროვოკაციამ გაიმარჯვა. სრულიად გამოიცვალა სურათი. შავბნელი ხელების ფათურმა თავისი გაიტანა. ნახული და მოთხრობილი ფაქტები ბევრ რამეს გვეუბნება და, ჩემის აზრით, საჭიროა ზოგიერთები აღვნიშნო, ვინაიდან „ზოგჯერ თქმა სჯობს, არა თქმასა“.

არდაგანის დაპყრობა, ეს წინასწარი შეთქმულობაა და ამის შესახებ ცხადია ამ წუთში დუმილი სჯობიაო. ომარ ეფენდი, რომელიც ერთგვარი მეფეა ახალციხის მუსულმანებისა, გაცხარებით მუშაობს, ვინ იცის, სად არ მიდის და მას „დიდი საქმე“ აქვს საკეთებელი.

რას ჩადიოდა ეს ომარ-ეფენდი? ამის შესახებ მუსულმანი ს. გ. შემდეგს მოგვითხრობს: „მე-ქინალამ მომკლეს ომარ-ეფენდის აგენტებმა, როცა ახალ მოძრაობის ქადაგება დავიწყე. ერთ დღეს შეიარაღებული რაზმით გამომეცხადა ომარი და ყველა ის ფურცლები, წიგნები, რომელიც თფილისიდან წამოვიღე დამიწვეს და სიკვდილით დამემუქრენ“.

ომარ-ეფენდი ერთი მეთაურთაგანია და მას გასავალი აქვს შეუგნებელ ხალხში.

ერთ-ერთ მუსულმანთა პოლკში თავს იყრიან საეჭვო პირები. ზოგიერთი რუსის და ქართველი აფიცრები არიან.

სერვერ-ბეგი, რომელიც მხოლოდ მიწათ-მფლობელია, მხურვალე აგიტაციას ეწევა, ამზადებს ხალხს „ერთი მიზნისათვის“.

ვარხანში შემდგარი მუსულმანთა ნაციონალური საბჭოს ირგვლივ თავმოყრილია მთელი ძალა. ამ საბჭოს ბრძანებით ხდება მობილიზაცია. გაბატონებული არიან ბეგები და მოგვითხრობენ, რომ იქვე არიან ოსმალთა ემისარები და გაქცეული ტყვეები ინსტრუქტორებათო. ვარხანი მთავარი ცენტრია, რომელთანაც კავშირი აქვს ზემო აჭარას და არდახანს... მუსულმანთა სოფლებში დადიან აგიტატორები და „ახალ ხანას“ აუწყებენ, მოუწოდებენ... ბევრი სამწუხარო მაგალითების ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ამ ჟამათ არ არის საჭირო ყველაფრის აღნიშვნა. მოხდა ის, რასაც ჩვენ არ მოველოდით: ბეგების და შოვინისტების მოძრაობამ ხალხი ჩაითრია, ხალხს გზაკვალი აუბნია და დღეს ფაქტი ფაქტათ რჩება. ძმური განწყობილება დაირღვა, მტრული დამოკიდებულების წინა დღეებში შევედით. ოდესღაც სიწყნარით მოცული მხარე, ყოველ დროს მყუდროებას მიჩვეული, დღეს საშინელ ამბების ქარიშხალშია გახვეული, და ვინ იცის, რით დამთავრდება ეგ საბედისწერო ტრიალი... პროვოკაციამ, თავაშვებულმა საქციელმა, ურთიერთობის გამწვავებამ თავის ნაყოფი გამოიღო და ჩვენს წინაშე მარტის თვის სამწუხარო ამბები იწყება. აწყურ ახალციხის ამბები ამ მხრით დამაფიქრებელია და ეს წინამორბედია უფრო დიდი საფრთხისა. ერთი სიტყვით მთელი ახალციხის მხარე განსაცდელშია ჩავარდნილი.

ვარხანი აბასთუმანის კარია, ახალციხე ვარხან-არდახან-აბასთუმანის. ახალციხის გასაღები კი აწყურია. ვარხანში მუსულმანებია გაბატონებული, ახალციხეში სომხებ-ქართ. კათოლიკენი, აწყურში მუსულმანები. საკმარისია უბრალო შემთხვევა და ვარხან-ახალციხე აწყური იკეტება, მთელ მხარეში მოძრაობა სწყდება, სხვადასხვა სტრატეგიულ ადგილებში შეიარაღებული ძალები ჩნდებიან. თითქმის იანვრიდან დაწყებული, აღნიშნულ მხარეებში ჩვეულებრივი წესები დარღვეულია და ნორმალური ცხოვრება აფორიაქებულია. ეს იყო, მხოლოდ მარტიდან უფრო გადიდდა ამბები და მან კატეგორიული ხასიათი მიიღო.

იმ დროს, როდესაც გზები შეკრულია, როდესაც ერთგვარი ხელშეკრულებაა, —აი ასეთ დროს ხდება, მეტათ სამწუხარო ფაქტი—აწყურის შეტაკება. აბასთუმანში მომხდარმა ინტერნაციონალურ თავყრილობამ, რომელსაც დაესწრო სეიმის დელეგაცია და ნაციონალური საბჭოების წარმომადგენლები, ერთგვარი იმედები შემქნა, მაგრამ 4 მარტიდან ე. ი. ერთკვირაში ყოველივე იმედები ოცნებათ იქცა და დღეს ახალციხის მაზრა სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. როგორც გაზეთებში აღნიშნული იყო, 4 მარტს ღამით ბორჯომიდან მიმავალ სომხის რაზმს სროლა აუტეხეს აწყურში; 9 კაცი მოჰკლეს, რამოდენიმე დაატყვევეს და ზოგიც გაიქცა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ მხარეს და ძალთა სწრაფი მობილიზაცია დაიწყო. 4 მარტს საუცხო სიწყნარე იყო ყველგან; ვარხანში მუსულმანთა რაზმმა თავისუფლად მოგვცა გზა, აწყურშიაც, მხოლოდ ახალციხეში სომხური ნაწილი გაუჩხრეკელად არ უშვებდა მგზავრებს. სოფლებშიაც, მინდორ ველებში, რადგანც კარგი დარი იყო საყანე ადგილების გაწმენდას შესდგომოდა გლეხკაცობა და ყოველივე ეს სურათი შეიცვალა რამოდენიმე საათში და სტრატეგიული გზებიც დაიკეტა.

აწყურში შეტაკების ნამდვილი შინაარსი გამოურკვეველია, მუსულმანები ამბობენ: ავტომობილებიდან ბომბები გვესროლენო. გადარჩენილები მოგვითხრობენ: ბარიკადებიდან სროლა აგვიტეხესო. ცხადია, ბნელმა ძალებმა საწადელს მიაღწიეს. საბაბი იშოვნეს და საქმესაც შეუდგენ.

აწყური ბუნებრივი ციხე-სიმაგრეა, ვიწრო ხეობის გზების გარღვევა ძნელია და 5 მარტს მუსულმანებმა გზებზე ბარიკადები აგეს, დაიჭირეს ახალციხისაკენ მაღლობები, მხოლოდ ბორჯომისაკენ დვირს ზევით ციხე და საომრათ გაამზადეს. აბასთუმან - ახალციხე-ბორჯომს შორის ყოველგვარი დამოკიდებულება შეწყდა. იმ დროს, როცა აწყურში თავი მოიყარა შეიარაღებულმა მუსულმანებმა, ვარხანის მუსულმ. საბჭომ საჩქარო მობილიზაცია მოახდინა, აბასთუმანის გზები ბარიკადებით მოფინეს და კლდეში თავი მოიყარეს რაზმებმა, აგრეთვე შიკრიკები დაგზავნეს არდახან-ზემო აჭარაში.

5 მარტიდან ბორჯომში დაიწყო მობილიზაცია. სოფლებიდან აუარებელი შეიარაღებული და უიარაღო ხალხი მოაწყდა ქალაქს, ბორჯომის ხეობა სამხედრო ასპარეზს დაემსგავსა და შეუდგენ მზადებას.

6 მარტს მიხაილოვიდან, გორიდან მოვიდა შეიარაღებული ნაწილები, 7 მარტს კი აწყურის მახლობლად სოფელ დვირში დაბანაკდა ბორჯომიდან წასული რაზმები. 7 მარტიდან მოქმედებას იწყებს გენ. არჯევანიძე და საქმის მშვიდობიანათ მოგვარებას ცდილობს. ბორჯომის სამხედრო მზადება-მოქმედებაში არ მოსულა, მხოლოდ ახალციხეში კი სამხედრო მოქმედება დაიწყო. ქალაქი დაიკეტა, სასწავლებლები შეჩერდა, მუსულმანები დაატყვევეს და ჯარი ზარბაზნებით განსაზღვრულ ადგილებისაკენ დაიძრა. ახალციხის ამოძრავება, მისი მოქმედება იწყება თვით ახალციხის სამხედ. შტაბის გადაწყვეტილებით. 7—8—9 მარტს ახალციხის ირგვლივ დრო გამოშვებით სროლა იყო. აწყურ-ბორჯომის მხრით კი სიწყნარე. 10 მარტამდე მაჰმადიანებიც განაგრძობდენ მოქმედებას. დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა ვალეში და თავიანთი გადაწყვეტილებას მტკიცეთ ადგენ, მაგრამ გენერალ არჯევანიძის ულტიმატუმმა და ახალციხის მხრიდან სამხედრო მოქმედებამ ისინი გასტეხა და დათმობა აჯობინეს. სროლის დროს დაზარალდენ მაჰმადიანთა შემდეგი სოფლები: პატარა ანდა, ჭალა, სუფლისი და წყნისი, იყო ადამიანთა მსხვერპლიც. მაჰმადიანთა რაზმებიდან დაზარალდენ ქართველ-სომეხთა შემდეგი სოფლები: უდე, მიქელწმინდა, არალი, ანდრია - წმინდა, წყური, წირა და ჭაჭარაქი. უმთავრესათ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ადგილი ჰქონდა ძარცვა-გლეჯას. 12 მარტს გაიხსნა აწყურის გზა და დვირიდან ახალციხეში შევიდა ქართული ჯარის ნაწილი და წითელი გვარდია. გენერალ არჯევანიძის განკარგულებით შეუდგენ ტყვეების განთავისუფლებას და თავ-თავიანთ სოფლებში დაგზავნას. ახალციხეში მშვიდობიანობის ჩამოვარდნამ გავლენა იქონია ვარხანის მუსულმანებზე და მათ აბასთუმანის გზა გახსნეს. ვარხანის ნაც. საბჭოს დაქვემდებარე მუსულმანთა პოლკის უფროსი ს. კაჯარი, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებას ასრულებდა; წაართვეს სე... ბეგის განკარგულებით ფოსტის მოსამსახურეებს თავის დასაცავი იარაღი.

ვარხანის საბჭოს განკარგულებით კაჯარმა იარაღი აჰყარა აბასთუმანში თფილისიდან გაგზავნილ ქართველ აფიცერთა რაზმს. ერობის საავათმყოფოდან წაიღეს შინელები. დაატყვევეს სამი დღით ყველა სომხები, ზეკარის ულელტეხილი შეკრეს. ბრბომ გაძარცვა აფთიაქი. პროვოკაციულ ნიადაგზე სროლაც ყოფილიყო და სხვა... 15 მარტიდან ცოტათი მიწყნარდა მღელვარება, მიმოსვლა ჩვეულებრივ პირობებში ჩადგა, მომხდარ ამბების დაფასებას შეუდგენ, მაგრამ შიში და უნდობლობა მაინც ძველებური არის და მოქმედება, რომელიც ცხოვრების ზედა პირზე ამოტივტივდა, ისევ საიდუმლოებით მოცულ კუნჭულებში გადაიტანეს...

ჩამოვარდნილი სიწყნარე—ზავი დროებითია... 20 მარტიდან არდახანის მიმართულებით მუსულმანთა მოძრაობა კვლავ დაიწყო. აბასთუმანი ფაქტიურათ დაიკავეს. აწყურშიც მდგომარეობა შეიცვალა.

თ—ლი მუშა.

## ქობულეთის რაიონში

გურიის თავდაცვის კომიტეტის მოწვევით 18 მარტს შესდგა დიდი მიტინგი, რომელზედაც გამოცხადდა, როგორც ქართველი მაჰმადიანები, ისე გურულებიც ლიხაურის საზოგადოებიდან. მიტინგის ადგილად აირჩიათ კარანტინი. ეს ადგილი არის მდ. ჩოლოქის (ყოფილი საზღვარი) გაღმა, ს. ლელვას ზევით.

აქ შეგროვდენ ქართველი მაჰმადიანები: ჭახათა, აჭყვის თავი, ლელვა, ალამბარი, ხუცუბანი, ზენათი, სამება, ქაქუთისა და სხვა სოფლებიდან. აქავე მოვიდნენ გურულები ლიხაურიდან. მიტინგი გახსნა ლიხაურის კომისარმა დუმბაძემ, იგივე აირჩიეს თავმჯდომარეთ. პირველად ილაპარაკა მიხ. საბაშვილმა. ის შეეხო მიმდინარე მომენტს და ბოლოს მოუწოდა ქობულეთლებს გამოეთქვათ აზრი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ლაპარაკობს ხოჯა ახმედეფენდი ხახუტ-ოღლი. წინა ორატორმა სთქვა მთავრობას უნდა დავემორჩილოთო, მართალია ეს. ყურანში სწერია:—იყამე ჯერ ღმერთი, მერე ფეირან-ბეი (წინასწარმეტყველი) და მესამედ მთავრობაო. ჩვენ გამოვეყავით რუსეთს და მოძმე ქართველ ქრისტიანებთან და სხვა ერებთან ერთად გვყავს ამიერ-კავკასიის მთავრობა—სეიმი და [illegible]. ჩვენ ამათ უნდა დავემორჩილოთ და არ უნდა ვუღალატოთ. ჩვენ ქართველები ვართ, მტერმა მოგვწყვიტა დედას და სჯული გამოგვიცვალა. (აქ ამბობს ერთ ლექსს მშვენიერს შინაარსისას) ჩვენ თანხმობით უნდა ვიცხოვროთ ქართველ ქრისტიანებთან. მართალია,—თოფს ვერ ვესვრით ოსმალებს, მარა ისე კი ყველაფრით თქვენ დაგეხმარებით, ეუბნება დელეგაციას— არ გიღალატებთ აჭარლებსავით. თქვენც უნდა მოგვხედოთ, ჩვენი ცოლშვილი უნდა შეიხიზნოთ გაჭირვებისას. ჩვენი იმედი გქონდეთ. გაუმარჯოს თავისუფლებას!

ჭახათელი შაქირ-აღა ცეცხლაძე ამბობს: ჩვენ ოსმალეთის ჯარს ვერ ვესვრით თოფს, ვერ შევებრძოლებით, რად-

გან ის რეგულიარული ჯარია და მაინც ვერაფერს დავაკლებთო. ამას სჯულიც გვიკრძალავს. აჭარლებს კი შევებრძოლებით, რადგან იმათ ჩვენსავით აქვთ გუდით მჭადი წამოკიდებული ზურგზე, თქვენ რის გეშინიათ, აჭარას ჩვენ ჩამოგაცილებთ და არც გიღალატებთ, ოსმალებზე თოფის სროლას ნუ მოგვთხოვთ.

**მემედა ნოღაიძელი** გულმოსული წამოიძახებს—„რატომ არ გჯერათ, ასჯერ გითხარით, რომ არ გიღალატებთ. ჩვენც ქართველები ვართ და ქართველურ სიტყვას გაძლევთ.

**ხასია მამულ ოღლი** აჭარლებსაც ვერ ვესვრით თოფს, წინ ვერ გადავუდგებით. რით შევებრძოლოთ იარაღი რომ არა გვაქვს? სულ ჩვენ 200 ბერდანა გვაქვს მიღებული. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩხუბი არ დაიწყოს, თორემ ჩვენ მთლად გავნადგურდებით.

**მემედ-აღა გოგიტიძე.** ის მოხუცი, დარბაისელი კაცია. იმას სთხოვეს მაჰმადიანებმა გამოეთქვა მათი საერთო აზრი და იმანაც დაიწყო: ჩვენ თოფი და პატრონა არ გვინდა; ჩვენ მშვიდობიანი ცხოვრება გვინდა. აჭარლებსაც ვერ შევებრძოლებით ჩვენ. ჩვენ გპირდებით აჭარლების წინააღმდეგ ზომების მიღებას, მაგრამ არა თოფით, არამედ—სიტყვით. ჩვენ მათ გავუგზავნით კაცებს და შეუთვლით—ნუ გადარეულან და ჩვენცა და თავსაც ნუ იღუპავენ. თუ არ დაიჯერეს ჩვენი რჩევა, მაშინ შეიძლება თოფიც ვესროლოთ. თქვენ დაგეხმარებით, აჭარიდან გადასავალ გზებს გაგამაგრებინებთ და სხვ. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს, გაჭირვების დროს ცოლშვილს შეიხიზნებთ ჩვენსას. ჩვენ რომ არ გიღალატებთ, ამაში დარწმუნებული იყავით. მარა თოფს ოსმალებსაც ვერ ვესვრით. ის ძლიერია და თუ გაიმარჯვა, თქვენ კიდევ არაფერს გეტყვით და ჩვენ კი ამოგვწყვეტს—თქვენ მუსულმანებმა რატომ მიღალატეთო. მერე კიდევ თქვენ ბათუმიც რომ წაგართვან, სხვაგან გამაგრდებით, დაიხევთ უკან და ჩვენ გავნადგურდებით. ისედაც საშინელ მდგომარეობაში ვართ, **ნიკოლოზმა 41 წელი შვილსავით შეგვინახა და ეხლა თქვენს ხელში რომ ჩამოვარდით** ასე წავიდა ჩვენი საქმე. რა ვქნათ,—ვერც თქვენ ჩვენს ძმებს,—ქართველ ქრისტიანებს გიღალატებთ და ვერც ერთმორწმუნე ოსმალებს ვესვრით თოფს. ჩვენ ვერც ერთი თქვენგანის სისხლს ვერ დავღვრით, ჩვენ ჩვენთვის ვიქნებით და თუ არ გაანადგურებიებთ მტერს ჩვენს ოჯახს, თქვენ იცით!

**იანუს ეფენდი ხახუტ ოღლი**—ჩვენ არ უნდა ვუღალატოთ ქართველ ძმებს. თუ საქმე მოითხოვს, თოფს კი ვესვრით ოსმალებს; სჯული აქ რა შუაშია. სამშობლოს კეთილდღეობა თუ მოითხოვს, ძმობა და სჯული არაფერია. არაბები და ოსმალები, აგრეთვე არნაუტები და ოსმალებიც ერთ მორწმუნენია, მაგრამ ერთმანეთის სისხლი დაღვარეს. ისტორიიდან ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება კიდევ. ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო და თავისუფლება დღეს განსაცდელშია, ჩვენ უნდა ვეცადოთ—ის დავიცვათ. აჭარლები მოატყუილეს ბეგებმა. იმათ უნდათ ძველებურათ იბატონონ ხალხზე და ამიტომ ეხმარებიან ოსმალებს, რომელთა გამარჯვება დაღუპავს ჩვენს თავისუფლებას და ჩვენც ძველებურათ ბეგების მონებათ გაგვხდის. ნუ მოვტყუვდებით, ნუ ავყვებით პროვაკაციას. ჩვენში იმასაც კი ამბობენ, რომ ქართველებმა კაზაკების ფორმაში შეაიარაღეს სომხები და ჩვენდა ამოსაჟლეტათ აგზავნიანო, მარა ეს პროვოკაციაა, ამით უნდათ ჯემალ-ბეგის აგენტებს,—ჩვენ გურულ ძმებს წაგვკიდონ და თავისკენ მიგვიმხრონ. ძმურათ და მეზობლურათ ვიცხოვროთ გურულებთანო“. უკანასკნელათ ორატორმა წინადადება მისცა კრებას აირჩიონ შერეული კომიტეტი, რომელიც გაუძღვება თავდაცვის საქმეს. ეს წინადადება ერთხმათ მიიღეს და აირჩიეს ამ კომიტეტში სამ-სამი წარმომადგენელი ორთავე მხრიდან. ქობულეთლების მხრით: ხოჯა ახმედ-ეფენდი ხახუტოღლი, შაქირ-აღა ცეცხლაძე და მემედ აღა გოგიტიძე.

მეორე დღე'ს, 19 მარტს ასეთივე, მაგრამ უფრო მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა ს. ხუცუბანში. მიტინგი მოიწვია ბათუმის „ოტრიადის“ უფროსმა. დაესწრენ გურიის თავდაცვის კომიტეტის წარმომადგენლებიც. ქობულეთლებმა აქაც გაიმეორეს თავისი სიტყვა ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ და უკანასკნელათ აირჩიეს 15 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია აჭარლებთან გასაგზავნათ, რომ გააფრთხილონ—თავი გაანებონ დამღუპველ საქმეს და მით თავიცა და ისინიც დაიხსნან განსაცდელისაგან.

ამავე 19 მარტს ბევრი ქართველი მაჰმადიანი გადმოიხიზნა მათ განაპირა გურიის სოფლებში იმ ადგილებიდან (ს. დაგვა, ხულა), სადაც აჭარის ჩეტნიკებმა სცადეს გადმოსვლა და ამიტომ მათთან შეტაკება მოუხდა ჩვენს ჯარს.

ასეთია ჯერ-ჯერობით გურულ-ქობულეთლების დამოკიდებულება.

ხუსეინ.

## ჯარისკაცთა წერილები

**ბათუმი.** ცხოვრების ულმობელმა პირობებმა ღრმათ დაარწმუნა ამიერ კავკასიის დემოკრატია, რომ ის უნდა გაუმკლავდეს ორგვარ მწარე სინამდვილეს: ერთის მხრივ ურდოთა შემოსევას და მეორეს მხრივ—თავისი ფიზიკური არსებობისა და სისხლით მონაპოვები თავისუფლების შენარჩუნებას. აი ასეთმა პირობებმა აიძულა კავკასიის დემოკრატია მოეხდინა მთელი თავისი ძალთა მობილიზაცია და მით თავის დანიშნულება სისრულეში მოეყვანა. მე მინდა მხოლოდ ვსთქვა შემდეგი: ჩვენი ჯარების შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, ბევრი მოიპოვებიან ძველათ ნამსახური ჯარისკაცები და ეს კი ძალიან მოსაწონისია, ვინაიდან იმათ არ მოიდრიკეს მუხლები არავითარი დაბრკოლებების წინაშე და, მიუხედავათ უზომო დაქანცულობისა რამდენიმე წლობით ომის გამო, მაინც გამოვიდნენ სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად. მაგრამ ყველა ამის შემდეგ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი მესამე და მეშვიდე როტებში მიხაილოვის სასიმაგრო არტილერიაში. ზოგიერთი ძველათ ნამსახური ჯარისკაცთაგანი ამხედრებენ ახალგაზრდებს წითელ გვარდიელებისა და მილიციონერების წინააღმდეგ: წითელი გვარდია კონტრ-რევოლიუციონურია, ყაჩაღებია, დეზერტირებია—ჩვენ მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთო. ერთმა მათგანმა კი გადაჭრით სთქვა: „მე სადაც შევხვდები გვარდიელს, უთუოდ ვესვრი თოფს, ან მოვკლავ და ან მომკლავს“-ო. მათზე უარესია მილიციონერებიცო. ამიერ-კავკასიის მთავრობა კონტრ-რევოლიუციონურიაო და სხვა ასეთები. ვინ იცის, რა გვარ ზომებს არ მიმართავენ, ოღონდ კი დეზორგანიზაცია შეიტანონ ჯარის შემადგენლობაში და ასე არევ-დარევა და ანარქია გამეფონ. მე კი, ასეთი მოვლენების მოწამეს, მოთმინება არ მყოფნის და ხანდახან ღირსეულათ შევუტევ ხოლმე მათ, მაგრამ ამით ხომ საქმე არ სწყდება. მე კი ვიტყოდი: თუ ასეთ მოვლენებს ღირსეული ყურადღება არ მიექცა, ჩვენ, გამარჯვების მაგივრათ, დაღუპვა მოგველის. ვინც რევოლიუციონურ ხალხს და თავისუფლების ერთგულ დამცველებს კონტრ-რევოლიუციონერებს და ყაჩაღებს ეძახის—აი სწორეთ ის არის კონტრ-რევოლიუციონერი და ავაზაკი. საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ასეთ ხალხს. მათ უჯობთ ან ემსახურონ იმ საქმეს, რომლისთვინაც ისინი მოწოდებულნი არიან, ანდა მოშორდენ: ჩვენ ნუ გვიშლიან ხელს, თორემ ჩვენ იმათ ძალით მოვიშორებთ და შესაფერ მსჯავრსაც დავსდებთ!

ჯარისკაცი სიმ. ჯინჯ.

**ბათუმი.** მიიღო რა მხედველობაში დღევანდელი ამიერ-კავკასიის კრიტიკული მდგომარეობა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრისაგან ს. ასკანაში (გურია) შესდგა რაზმი და გაემგზავრა ბათუმში. გზაში შემოგვიერთდა ლიხაურელი ამხანაგები. გაგვგზავნეს მსროლელ პოლკში, მე-5 როტაში. ამ პოლკში უმეტესობა გურული მოხალისეებია; ყოველივე წესრიგი საუცხოვოთ არის დაცული, სამხედრო მეცადინეობაც წესრიგზე მიდის. ჩამოსვლისთანავე მოვახდინეთ კრება, სხვადასხვა კითხვები იყო გასარჩევი და აგრეთვე მოვახდინეთ არჩევნები. საბჭოში არჩეულ იქნა ბ. ვაშალომიძე, პოლკის კომიტეტში—გ. თალაკვაძე, როტის კომიტეტში—ს. წიტაიშვილი და ე. გობრონიძე. მიუხედავათ იმისა, რომ ს. ასკანაში არიან ისეთი პირები, რომლებსაც არევ-დარევა შეაქვთ საზოგადოებაში და კონტრ-რევოლიუციონურ როლს ასრულებენ, მთელი საზოგადოება მზად არის საჭიროების დროს თოფით ხელში გამოვიდეს რევოლიუციისა და სამშობლოს დასაცავათ.

გიორგი თალაკვაძე.

## სოც.-დემ. პარტიაში

**ტფილისი.** 21 მარტს შესდგა მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება. კოლექტივმა მოისმინა მოხსენება თფილისის კომიტეტის წარმომადგენლის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოხსენებიდან კომიტეტის გადაწყვეტილებას პარტიულ დისციპლინაზე, რომელიც ვალდებულათ ხდის პარტიის წევრებს დაემორჩილონ ხელმძღვანელ ორგანიზაციების დადგენილებას.

ამხ. ელ. მახვილაძემ გააკეთა მოხსენება სომეხთა შორის მუშაობის შესახებ და კრებას გააცნო გადაწყვეტილება სომეხ ამხანაგების ამის განსახორციელებლათ შექმნან ჩვენ ხელმძღვანელ ორგანიზაციასთან ცალკე ფრაქცია. კრებამ მოიწონა ეს ნაბიჯი ამხ. სომხების და ჩვენ რაიონში მათ დასახმარებლათ აირჩია კომისია.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომ ახლო მომავალში მოიწვიონ პარტიული კრება კოლექტივის ასარჩევათ, რადგანაც ძველ კოლექტივს მარტის დამლევს ვადა გაუდის. კოლექტივმა პრეზიდიუმს მიანდო მომავალ კრებისათვის დაამზადოს წლიური ანგარიში და, როდესაც ამ ანგარიშს განიხილავს კოლექტივი, ის დანიშნავს პარტიულ კრებას.

ამის შემდეგ ამხანაგ ე. მახვილაძისა და თ. ნიკოგოსოვისა აცნობენ კრებას, თუ რა გააკეთეს ჩვენ რაიონის ქალთა შორის. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ საქმე კარგათ მიდის, აურჩევიათ ხელმძღვანელი ორგანო და მუშაობასაც შესდგომიან.

რუსთა სიეზდის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ ზავალიშინი. ის აღნიშნავს, რომ სიეზდმა არ გაამართლა ჩვენი შიში მისი შემადგენლობის შესახებ და. მუშაობა სასურველათ დაამთავრა.

კა—ბე.

**ტფილისი** 16 და 23 მარტს შესდგა საერთო კრება მეოთხე რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. ამხ. და თანამგრძნობ ქალთა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ კრებას ბლომათ დაესწრო სხვადასხვა ქარხნის მუშა ქალები, რამაც კრებას საქმის ელფერი მისცა. ზოგიერთა შეგნებულ მუშა ქალების გამოძახილმა: ამხანაგებო, ფხიზლათ შევხვდეთ ჩვენს საქმესო, კვალი დააჩნია. შეგნებული მუშა ქალის მარიამ მარტკოს გულის სიღრმიდან წარმოთქმულმა სიტყვებმა: „თავი შევსწიროთ მუშათა კლასსო“—სიცოცხლის ძარღვი აუმუშავა ქალთა კრებას: მიდუმებულ, და თითქო კრების ინტერეს მოკლებულ თანამგრძნობ ქალებსაც კი დაეტყო მხურვალე მონაწილეობა ქვე-კოლექტივის არჩევნებში. არჩეულ იქმნა ქვე კოლექტივი 15 ქალისაგან, რომლებიც გავიდნენ ხმის უმეტესობით. ამათში 5 ბოზარჯიანცის ქარხნის წარმომადგენლათ.

არჩევნების გათავების შემდეგ ამხ. მ. ტოროშელიძისამ გააკეთა ქართულათ მოხსენება: „ომი და სოციალდემოკრატია“, რომელსაც რეზიუმე გაუკეთა რუსულათ ამხ. ელ. მახვილაძისამ.

შემდეგ კრებაზე ამხ. ელ. მახვილაძისა ვრცლად შეეხება იმავე კითხვას რუსულათ, რომლის შემდეგაც მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სასურველია თანამგრძნობ ქალთა ბლომათ დასწრება. საერთო კრება ხდება პარასკეობით 5 საათზე საუფლისწულო ქუჩა № 3.

## პროვინცია

**ს. ნოქალაქევი.** (სენაკის მაზრა). 21 მარტს აქ მოხდა საზოგადო კრება, ხალხი ბლომათ დაესწრო, კრებაზე გამოცხადდა ბათომის და სამტრედიის დელეგატები, რომელნიც იყვენ გამოგზავნილი იმისთვის, რომ გაეწიათ ხალხში ფართე აგიტაცია მობილიზაციის სასარგებლოთ. ილაპარაკა ამხ. ევგ. ოდიშარიამ, მან გააცნო ხალხს თუ რა მდგომარეობაშია ამიერ-კავკასიის ხალხი დღეს, როდესაც ოსმალეთი წალეკვას გვიპირობს, მან ნათლათ განუმარტა ხალხს, რომ თავის დაცვა გარეშე მტრისაგან აუცილებელია, ამისთვის საჭიროა ხალხის სურვილი და მხურვალე მონაწილეობის მიღება ომის საქმეში, დასასრულ მოუწოდა ხალხს არ დააყოვნონ თავის შვილები და გაგზავნონ ბათომში, აგრეთვე ჩაეწერონ მოხალისეთ ვისაც გაწვევა კანონით არ უწევს. ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა ასეთ მოწოდებას და ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. მოთხოვილი ჯარისკაცები 18 წლიდან 25 წლ. ამ სოფლიდან უკვე გამოცხადდენ პირველ მობილიზაციის დღეს; ეს მოხდა მაშინ, როდესაც ბევრი სოფლები კიდევ ყოყმანობდენ გამოსვლას, და ბოლოს იქნა არჩეული სამობილიზაციო კომისია, რომელშიც შევიდა ადგილობრივ აღმასრულ. კომიტ. თავმჯდომარე, კომისარი და სამი ჯარისკაცი. კრებაზე გამოცხადდა ბალშევიკი ასკურავა. მას უნდოდა წარმოეთქვა თავის „საპროგრამო“ სიტყვა, მაგრამ მისდა საუბედუროთ „მანდატი“ არ აღმოაჩნდა, უმანდატოთ კი პარტიის სახელით არ მისცეს ლაპარაკის ნება, მანც განაცხადა, რადგანაც მანდატის წამოღება დამავიწყდა პარტიის სახელით არ ვილაპარაკებო. აიღო სიტყვა, აცალეს ლაპარაკი, რადგანაც ბევრი სასაცილო იყო მის სიტყვებში და სთქვა სხვათა შორის: ჩვენ გვინდა ორგანიზაციულათ შეკავშირებული ჯარიო, უნდა ვიცოდეთ სად მივდივართ—ბათომში, ეუბნებიან კრებიდან; ზღვიდან არავითარი სიმაგრე არა გვაქვსო, თქვენ რა გაქვთ დასაცავი, თქვენ არ გეკუთვნით მიწა-წყალი და ვისას იცავთო.

— გვეკუთვნის, ეუბნებიან კრებიდან, მიწა-წყალი არსად წავა, ჯერ მოვიგერიოთ გარეშე მტერიო, შენიშნეს სხვებმა, თქვენ მიერ გაგზავნილ ჯარს მთავრობა თავის დასაცავათ მოიხმარსო, ჯერ უნდა გადააყენოთ კონტრ-რევოლიუციონური კომისარიატი და მერე შევესიოთ გარეშე მტერსო, ერთი სიტყვით, ყოველი მისი სიტყვა რაღაც უცნაური სუნით იყო გაჟღენთილი, ახლა მოვედი რუსეთიდან და იქ ყველაფერი რიგზე არისო, ყველა რესპუბლიკა ცნობს ლენინის მთავრობასო. მას აუხსნეს ეს ასე არ არისო, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა. ბოლოს სთქვა შევაერთეთ რუსეთთანო, მაგრამ რომელ რუსეთთან უნდოდა შეერთება, ეს არ უთქვამს მას. შესაფერი პასუხი გასცეს ამხანაგებმა, რის შემდეგ დაანება ლაყბობას თავი. ეს ვაჟბატონი გურიიდან ყოფილა. თავის პროგრამით ის იქიდან მოუშორებიათ და ახლა მოევლინა სამეგრელოს სოფლებს, იქნება აქ გავხდე რამეო და დახეტიალობს სოფლებში, სადაც კი კრება იქნება, მოუხსნის თავს დემაგოგიას და არის ერთ ამბავში; მიკვირს, ვინ აძლევს ნებას ამ ვაჟბატონებს, რომ გასწიონ მობილიზაციის საწინააღმდეგო აგიტაცია, საჭიროა ასეთ მოვლენას მიექცეს ყურადღება, საჭიროა სხვა თუ არა, საბუთი მაინც მოეთხოვოს თუ ვისგან აქვს მონდობილობა.

ი. დარიშვილი.

**სოფ. ჩუმლაყი** (სიღნაღ. მაზრა). სოფლის სამმართველოს ეზოში მარტის 18 შა შესდგა მთელი სოფლის კრება აღმასრულებელი კომიტეტის და გლეხთა საბჭოს თანდასწრებით, რომელმაც გადასწყვიტა მრავალი თანამედროვე საკითხები: აიკრძალოს მეპატრონის დაუკითხავათ მიწების მოხვნა, (რაიცა იშვიათია), ტყეების გაჩეხვა, სასტიკი ყურადღება მიექცეს ყანების და ყორუღების შენახვას და სხ. ბოლოს ხალხი ნასიამოვნები დარჩა იმით, რომ სასოფლოთ ჩასდგავენ საკირეს და ვენახების წამლისთვის კირის შეძენით უზრუნველ იქნებიან; აქედან ხალხი გაემგზავრა ახლად დაარსებულ წიგნ-საცავ-სამკითხველოსაკენ, სადაც ზოგიერთებმა გააცნეს ხალხს სამკითხველოს მნიშვნელობა. აირჩიეს სამკითხველოსთვის გამგეობის წევრნი: დ. ბერიაშვილი, სიმ. სისოური და ნიკო ბერიაშვილი. მზრუნველებათ ალექსანდრე გაბრიელის ძე ქართველიშვილი, შაქრო ოსოშვილი, ალექსი დათუაშვილი და შაქრო ავალოვი. ხალხის სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა, რომ დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ეღირსენ სამკითხველოს დაარსებას ამ მიყრუებულს სოფელში, რისგანაც დიდს სიკეთეს მოელიან. აღუთქვეს ყოველ-მხრით დახმარება და უსურვეს ხალხის გამოფხიზლებისთვის წინ სვლა და წარმატება.

№.

## წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ჩემი შემდეგი ღია წერილი: მოქალაქე ნინიძე! „ერთობის“ ამა მარტის 24 ნომერში მოთავსებული იყო თქვენი წერილი „არეულობა ცხინვალის რაიონში“, სადაც სხვათა შორის შემკულია მოქალაქე პეტროვი.

რადგანაც რომ დაბა ცხინვალში ცხოვრობს არა ერთი პეტროვი, რომ მკითხველი არ შევიყვანოთ შეცდომაში, გთხოვთ გამოაცხადოთ ამავე გაზეთში სახელი ან უბანი, სადაც ცხოვრობს მოხსენებული პეტროვი.

ი. პეტროვი *).

თფილისი, 26 მარტი 1918 წ.

---

*) პეტროვის სახელი ჩვენ არ ვიცით, შეგიძლიათ მიმართოთ ცხინვალის ორგანიზაციას. კ. ნინიძე.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

**სამკურნალო**

ყოველგვარ ავათმყოფთათვის

ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით დილის 10—12 საათამდე, ღარიბები უფასოთ მიიღება.

(24—9)

ექიმი ქალი

**რ. გ. შიშლო-საგაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი

**გ. დონხინი**

ყოფილ ასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი

**პ. პ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

**გ. გ. მევრაგიანცისა**

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილი 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

**ექიმი გ. გ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57 აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულის და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიცხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

## დამზადებული ფეხსაცმელები და საძირე ყველა რაიონულ და სახლის კომიტეტებს.

ქალაქის სასურსათო განყოფილების ტყავეულობის ბიურო წინადადებას აძლევს ყველა რაიონულ და სახლის კომიტეტებს, რომლებსაც შეტანილი აქვთ განცხადება ტყავეული საქონლის მისაღებათ, დაუყოვნებლივ შეიტანონ განყოფილების კასაში სულზე 15 მან. საძირე ტყავისათვის. ის სახლის კომიტეტები რომლებიც 2 დღის განმავლობაში არ შეიტანს ფულს, საძირეს ვერ მიიღებენ. უკანასკნელად ანგარიშის გასწორება მოხდება ტყავის მიღების დროს.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

მომხმარებელთა საზოგადოება „აღორძინება“-ს

## საზოგადო კრების

გაგრძელება შესდგება 14 აპრილს ახალი სტილით (ძვ სტ. 1 აპრილი) სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის ქ. № 91) დილის ათ საათზე.

დღის წესრიგი:

1) 1917 წლ. მოგების განაწილება.
2) 1918 წლ. ხარჯთა აღრიცხვა.
3) მიმდინარე საქმენი.
4) საზოგადოების საადმინისტრაციო წევრების არჩევა.

კრება, როგორც მეორეჯერ მოწვეული, კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. (2—1)

## მოქალაქეთა საყურადღებოდ

პურისა და ყველა სხვა ბარათები მიეცემა მხოლოდ და მხოლოდ სახლის კომიტეტებს.

სადაც ჯერ კიდევ არ აურჩევიათ სახლის კომიტეტი საჭიროა მოქალაქეებმა დააჩქარონ მისი არჩევა.

(3—3) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## პურის ბარათები

ორშაბათიდან, 26 მარტიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროებში დაიწყება აპრილისათვის პურის ბარათების დარიგება.

პურის ბარათებს იძლევიან სასურსათო (შაქრის) ბარათის წარდგენის შემდეგ.

პურის ბარათების დარიგების დროს დროებით შეწყდება ახალი სერიის სასურსათო ბარათების (აპრილის, მაისის, ივნისის) მიცემა.

სახლის კომიტეტებმა კეთილ ინებონ და წინდაწინვე შეიძინონ პურის ბარათები სახლის ორგანიზაციის წევრებისათვის.

თვითეული პურის ბარათი ღირს 25 კაპ.

(5—3) ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

## ქართული თეატრის აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ.—30 წლ.) გამოცხადდნენ ჩასაწერათ სრულიად ახალ დასის შესადგენათ.

ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ თფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოთ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს. ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება სიმღერას.** თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპ. № 11.

ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოთ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდის.

კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევს 4—6 საათამდე.

თფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

(5—4) ქართული დრამ. საზ. გამგეობა.

მბეჭ. ფლ.-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.